ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

„შუქი აანთეს და ბინა აფეთქდა“

გვ.5

რა მოხდა ლანჩხუთში

17 ნოემბრიდან

ჩემი პირველი ვეფხისტყაოსანი



ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

პარასკევი, 20 ნოემბერი, 2020 №242 (8506) ფასი: 60 თეთრი

„მე, ლევან ხაბეიშვილი, ამ პარლამენტში არ შევალ!“

გვ.2 „მივესალმები თამარ ჟვანიას წინააღმდეგ სირცხვილის დერეფანს“

„ერთადერთი გამოსავალი ხელახალი არჩევნები იქნება“

„ივანიშვილს სასამართლო ჯიბეში ცხვირსახოცივით უდევს“



გვ.3

გიორგი გუგავა: „ივანიშვილმა ქვეყანა საკონცენტრაციო ბანაკად აქცია და სახეზეა ერის სოციალური გენოციდი“

„პომპეოს გზავნილები ხელისუფლებისათვის გასაგები უნდა იყოს“



გვ.3

სალომე სამადაშვილი: „უკონკურენტო რეჟიმში ჩატარებული მეორე ტურები ნიშნავს, რომ ამ არჩევნების შედეგები არ არსებობს“

გიორგი ცაგარეიშვილი: „ოპოზიციამ დესტრუქციული ქმედებები უნდა შეწყვიტოს“

გვ.4



გვ.4

სოსო შატბერაშვილი: „ბარიერგადალახული პარტიები პარლამენტში უნდა შევიდნენ“

„დასანანია, რომ საქართველოს მთელი პოლიტიკური სპექტრი 1995 წლიდან სააკაშვილის ჭკუაზე დადის“

გვ.5

ბათუმში ნაციონალების ოფისის ფასადის დაზიანების ფაქტზე 1 პირი ამხილეს

ISSN 1987-9385

2 ქახა კალაძე ოპოზიციას: „უნდა მოვახერხოთ საერთო ენის გამონახვა“

5 რუსთავში 2 წლის ბავშვი მე-7 სართულიდან გადავარდა
ბავშვი კლინიკაში გარდაიცვალა

5 შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწესთან ონლაინშეხვედრა გამართა

6 ევროკავშირი ლუკაშენკოს რეჟიმს ახალ სანქციებს დაუწესებს

„მე, ლევან ხაბეიშვილი, ამ პარლამენტში არ შევალ!“

„მივესალმები თამარ ჟვანიას წინააღმდეგ სირცხვილის დერეფანს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი პასუხობს.

– ლევან, ნაციონალური მოძრაობა მეორე ტურში მონაწილეობას არ მიიღებთ. რამდენად სწორი გადაწყვეტილებაა და ამომრჩეველი როგორ იღებს ამ ყველაფერს?

– ეს არ არის ჩვენი პერსონალური გადაწყვეტილება. ეს არის ჩვენი მომხრეების გადაწყვეტილება და ჩვენ წარმოვადგენთ იმ ხალხს, რომლებმაც, მიუხედავად მუქარისა, ზეწოლისა და დაშინებისა, ხმა მოგვცეს. კონკრეტულად ჩემს ოლქში საუბარია 27.500-ზე მეტ ამომრჩეველზე. ეს იმაზე მეტია, ვიდრე 2017 წელს ამ რაიონში დედაქალაქის მერმა მიიღო, რომელმაც პირველივე ტურში გაიმარჯვა. ახლა მეუბნებიან, კი, აიღე 27.500 ხმა, იმაზე ბევრად მეტი, ვიდრე კალაძემ აიღო, მაგრამ მაინც 40% გაქვსო.

– რას ეუბნებით ამომრჩეველს, რომელიც მოვიდა, ხმა მოგცათ და იმის იმედი აქვს, რომ მეორე ტურში გაიმარჯვოთ, რომელსაც უნდა, რომ წარმომადგენელი ჰყავდეს პარლამენტში?

– ამ ადამიანებმა ხმა მოგვცეს იმიტომ, რომ ხალხის ხმა ყოფილიყო პარლამენტში და არა იმიტომ, რომ ჩემი ხმა მიეტაცებინათ. რა ვუთხრა მე ჩემს ამომრჩეველს, როგორ ვუთხრა, მოდით არჩევნებზე, იმ პირობებში, როცა, მაგალითად, 115-ე საარჩევნო უბანზე 96 ბიულეტენით მეტი ამოვიდა მაჟორიტარული, ვიდრე უნდა ყოფილიყო ოფიციალურ, მათ მიერვე დაწერილ დოკუმენტზე, რომელიც ჩათვლილია.

122 საარჩევნო უბანი იყო სულ სამგორის რაიონში. როგორ დავიცვა მე მათი ხმა ასეთ პირობებში?! 42-ე უბანზეც 36 ხმით მეტი ამოვიდა. საერთოდ არ მოსულან ეს ადამიანები, მაგრამ ხმები დაფიქსირდა სოზარის სასარგებლოდ.

– ანუ არ გაქვთ იმედი, რომ ხმებს დაიცავთ, რომ არ გააყალბებენ და ამიტომ მოუწოდებთ, არ მოვიდნენ არჩევნებზე?

– კი, ასეა. როგორ დავიცვა? ამის სამართლებრივი ბერკეტი არ არსებობს. ეს ბერკეტი მკვდარია ქვეყანაში.

– ლევან, ამომრჩევლის დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ მათი ხმა უნდა იყოს პარლამენტში.

– რანაირად, როგორ?! მოპარულ არჩევნებში?! უკაცრავად, მაგრამ მე საარჩევნო სიის მიხედვით უკვე პარლამენტარი ვარ, მაგრამ

„ერთადერთი გამოსავალი ხელახალი არჩევნები იქნება“

ფეხებზე მკიდია და დეპუტატობა არ მაინტერესებს, მაგრამ ჩემი ბრძოლა არ უკავშირდება არც მანდატსა და არც პარლამენტარობას! ამიტომ არ ვაპირებ პოლიტიკოსობანას თამაშს.

რომელ პარლამენტში შევიდე?! ქვეყანაში, სადაც მოქალაქეს ჩამოართვეს კონსტიტუციური უფლება, ჩვენ პარლამენტში შევიდეთ და პოლიტიკოსობანა ვითამაშოთ?! რა მინდა ასეთ პარლამენტში. ოფიციალური დიქტატურაა ქვეყანაში გაფორმებული, ხალხო! რა პარლამენტი და რა ჩვენი ხმა ისმოდეს, ვერ გავიგე! ჩემს ხმას ისედაც გაიგონებენ, არ მოვაწყენ, ნუ გეშინიათ.

– ქუჩის ოპოზიციად გადაიქცევითო, ასეთი შეფასებებიც მოვისმინე.

– ვიყო ქუჩის ოპოზიცია! აბა, რას მთავაზობენ, გააყალბეს, მოიპარეს, მაგრამ ჩვენ მაინც შევიდეთ?!

– თუკი ვერც ხელახალ არჩევნებს მიაღწიეთ, არც პარლამენტში შეხვედით, რას მიიღებთ ამით?

– რას ჰქვია, ვერ მივაღწევთ და რას მივიღებთ?! ეს ქვეყანა მარტო ჩვენია? უკაცრავად, მაგრამ ეს ქვეყანა პოლიტიკოსების არ არის, ეს ქვეყანა ხალხისაა, თქვენია! თუ ვერაფერს მივაღწევთ, ქვეყანა დაგვექცევა, თორემ პერსონალურად ჩემზე კი არ არის საუბარი. ქვეყანას არ ეშველება. მე დღეს პარლამენტის მანდატი მაქვს, მაგრამ არ ვიღებ, არ მაინტერესებს პირადი კეთილდღეობა. ქვეყანას რა ეშველება, თორემ ჩვენ მივხედავთ ჩვენს თავს. ხალხი დაფიქრდეს, ქვეყანასა და სამშობლოს რომ ართმევენ და უკიდურეს გაჭირვებაში უწევთ ცხოვრება, აი, იმ ხალხს რა ეშველება?!

– არის ეჭვი, რომ მით უმეტეს პომპეოს მოწოდების შემდეგ ოპოზიციის ნაწილი შევიდეს პარლამენტში. ამაზე რას იტყვით?

– პომპეოს მოწოდებისო, რომ ამბობთ, ერთი პრეცედენტი მითხარით, როცა რომელიმე ქვეყანაში ამერიკის სახელმწიფო მდივანმა რომელიმე პარტიას უთხრა, არ შეხვიდე პარლამენტშიო. ერთი მაინც თუ გახსენდებათ?! არ არსებობს. აბა, რას გვეტყოდა პომპეო! და 2003 წელს რას ამბობდნენ შევარდნაძის გაყალბებულ არჩევნებზე?! ან უკრაინაში იანუკოვიჩთან დაკავშირებით რას ამბობდნენ?!

რას ველოდებით დიპლომატებისგან?! ჩვენ გვართმევენ ქვეყანას, ჩვენ! ჩვენ ჩამოგვართვეს კონსტიტუციური უფლება! რა დაწერეს ამ არჩევნებზე? იყო მოსყიდვა, იყო ზეწოლა, იყო მანიპულირებული ოქმები და ეს არჩევნები არ იყო მიახლოებული თავისუფალ არჩევნებთან. მეტი რა დაწერონ?! თუ ჩვენ მაგივრად ამერიკელები უნდა გამოვიდნენ ქუჩაში და ჩვენ მაგივრად ამერიკელებმა უნდა დაიცვან ქვეყანა ან ევროპელებმა?!

რა ილუზია გვაქვს, ხალხო! რაც შეიძლება დიპლომატიურ ენაზე ითქვას, ეს ხალხი ლაპარაკობს. ვინც გადაწყვეტს, რომ ამ პარლამენტში უნდა შევიდეს, ის შევა „ქართულ ოცნებაში“.

– გაქვთ მოლოდინი, რომ შევლენ?

– პირდაპირ გეუბნებით, რომ არც ვიცი და არც მაინტერესებს! პოლიტიკურ პარტიებში ზუსტად ვარ დარწმუნებული, რომ არც ერთი არ შევა. ახლა ინდივიდუალურად ვინ რა გადაწყვეტილებას მიიღებს, ამაზე თავს ნამდვილად ვერ დავდებ. თუმცა ნებისმიერი ადამიანის გადაწყვეტილება, ვინც ამ პარლამენტში შევა, იქნება გადაწყვეტილება, შეუურთდეს ბიძინა ივანიშვილის ოლიგარქიულ მმართველობას.

აი, ამ პარლამენტში საერთოდ რა უნდა გააკეთო?! პოლიტიკოსობანას თამაშის გარდა, რა სამართლებრივი ბერკეტი გვექნება?! სასამართლოშიც კლანია. უკაცრავად, მაგრამ სწორედ ეს სახელმწიფო მდივანი ხომ არ იყო, ვინც არასამთავრობოებთან იკითხა კლანის ამბავი?! როცა სასამართლო არ გვაქვს ქვეყანაში, თქვენ ამბობთ, რომ პარლამენტობანა უნდა ვითამაშოთ?! მე არ მინდა ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც მოქალაქეს ჩამორთმეული აქვს ხმის უფლება.

– ლევან, მოლაპარაკებების მოლოდინი გაქვთ?

– ერთადერთი მოლოდინი მაქვს, რომ ეს ქვეყანა გადავარჩინოთ და დაინიშნოს ხელახალი არჩევნები. ეს არის ერთადერთი გამოსავალი.

– რომ არ მიდიან ამაზე?

– არ წავლენ და ძალიან მძიმე მდგომარეობაში იქნება ქვეყანა, ჩამოიშლება სახელმწიფო ინსტიტუტები და მთლიანად ჩამოიქცევა ეკონომიკა. რომელი ინვესტორი შემოვა ამ პირობებში?! ახლა დენის ტარიფსაც რომ გააძვირებენ, საერთოდ ჩამოგვექცევა თავზე ყველაფერი. ამ ქვეყნისკენ საერთოდ აღარავინ გამოიხედავს. ქვეყანაში, სადაც ხალხს ხმის უფლება აქვს ჩამორთმეული, ვინმე ინვესტიციას ჩადებს? ვინმეს ამის ილუზია აქვს?!

– ნაციონალურმა მოძრაობამ რამდენიმე დღის წინ სირცხვილის დერეფნები დააანონსა. ახლა აცხადებთ, რომ სირცხვილის დერეფნები აღარ მოეწყობა. რატომ შეცვალეთ გადაწყვეტილება?

– ტყუილია ეს. მკითხველს შეცდომაში ნუ შევიყვანთ. ნაციონალურ მოძრაობას ეს არ დაუანონსებია. აჭარაში იყო ეს განცხადება გაკეთებული და მერე განიმარტა. რა სისულელეა, რა სიგიჟეა, რომ ჩვენს მოქალაქეებს ვინმემ მოუწყოს სირცხვილის დერეფნები. ეს ნამდვილად არ ყოფილა პარტიის პოზიცია და არც პარტიას გაუვრცელებია მსგავსი რამე.

სირცხვილის დერეფნები უნდა შეეხოს ჩინოვნიკებს და თამარ ჟვანიასნაირ ქურდებს. ჩვენს მოქალაქეებს, მათი პოლიტიკური გემოვნების მიუხედავად, არავინ აპირებს, სირცხვილის დერეფნები მოუწყოს და ეს არავის მოსვლია თავში აზრად. ეს ეხებოდა გამყალბებლებსა და ქურდებს.

– რა სახის პროტესტს აპირებთ?

– რაც შეეხება იმას, 21-ში რა იქნება, ამაზე გაერთიანებული ოპოზიცია ისაუბრებს. თუმცა მე მივესალმები თამარ ჟვანიას წინააღმდეგ სირცხვილის დერეფანს! ყველგან უნდა რცხვენოდეს ამ ქალს! მან ქართველ ხალხს მოჰპარა არჩევანი. ეს ქალი სირცხვილით უნდა იწვოდეს.

გიმეორებთ, ვინ რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს, მე, ლევან ხაბეიშვილი, ამ პარლამენტში შესვლას არ ვაპირებ. ამ პარლამენტს აზრი არ ექნება! მე და ჩემი მეგობრები პირადი კეთილდღეობის სანაცვლოდ არ ვაპირებთ პარლამენტში შესვლას.

სანამ საჭირო იქნება, მანამ ვიბრძოლებ, მე არ დავიღლები! რა დროც არ უნდა დასჭირდეს, ვიბრძოლებ.

გპირდებით, არ დავიღლები!

კახა კალაძე ოპოზიციას: „უნდა მოვახერხოთ საერთო ენის გამონახვა“

– მინდა, მივმართო ოპოზიციის თითოეულ წარმომადგენელს – ჩვენ უნდა მოვახერხოთ საერთო ენის გამონახვა, შევიდეთ პარლამენტში და პარლამენტის ტრიბუნიდან ვუპასუხოთ ჩვენი ქვეყნის საერთო გამოწვევებს, რადგან ამ ქვეყნის მომავალი ყველამ ერთად უნდა ვაშენოთ, – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი კახა კალაძე საკუთარ მიმართვაში აცხადებს.

როგორც კალაძე სოციალურ ქსელში წერს, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე იყო იმ ტიპის ხარვეზები, რომლებზეც ხელისუფლება და ოპოზიცია ერთად არიან პასუხისმგებლები და ეს ყველაფერი დახვეწას და გამოსწორებას საჭიროებს.

– 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს ჩვენი ყველა საერთაშორისო პარტნიორი პოზიტიურად აფასებს. დემოკრატიული სტანდარტით, ეს არჩევნები არ ჩამოუვარდებოდა რომელიმე წინა არჩევნებს და მეტიც, შეცვლილმა საარჩევნო სისტემამ არსებითად გააუმჯობესა პარტიების წარმომადგენლობის ხარისხი.

მიუხედავად ამისა, ნამდვილად გეთანხმებით, რომ იყო რიგი ხარვეზები და უზუსტობები. იყო იმ ტიპის ხარვეზები, რომლებზეც ხელისუფლება და ოპოზიცია ერთად არიან პასუხისმგებლები. თუმცა, ცხადია, ხელისუფლებას მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი დახვეწას და გამოსწორებას საჭიროებს. აქ სწორედ ახალმა, პლურალისტურმა და მრავალფეროვანმა პარლამენტმა უნდა შეასრულოს მთავარი როლი და ხარვეზების აღმოფხრა თითოეული თქვენგანის ჩართულობით უნდა მოხდეს.

როგორც იცით, პარლამენტში ამ რაოდენობის მანდატი ოპოზიციას არასდროს ჰქონია. გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ! – ნათქვამია კალაძის განცხადებაში.

ამასთან, კალაძე აცხადებს, რომ ოპოზიციამ და ხელისუფლებამ ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეების კეთებაში გაერთიანება უნდა შეძლონ.

– ხალხის დაკვეთაა, პარლამენტი იყოს მრავალფეროვანი; ხალხის დაკვეთაა, პარლამენტის რიგებიდან ჩვენ ერთად შევეჭიდოთ ჩვენი ქვეყნის საერთო გამოწვევებს, ერთად ვებრძოლოთ კოვიდ 19-ს, სიღარიბეს, ოკუპაციას, ეკონომიკურ სიდუხჭირეს. იქნებ, ვცადოთ და ერთმანეთის კრიტიკის პარალელურად, რაც ასევე დემოკრატიის მნიშვნელოვანი ნაწილია, ჩვენი ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეების კეთებაში გაერთიანებაც შევძლოთ. იქნებ ვცადოთ იმ პოლარიზაციის დასრულება, რომელიც დღეს გვაქვს და ნამდვილად არ მოსწონთ ჩვენს მოქალაქეებს, რადგან ყველას სტრესულ გარემოში ამყოფებს.

მე კი, როგორც ქალაქის მერი, პასუხისმგებლობას ვიღებ, რომ ძალღონეს არ დავიშურებ ამისთვის.

მეგობრებო, კიდევ ერთხელ მოგმართავთ, მოვუსმინოთ ჩვენი მეგობრების (აშშ-ის, ეუთო-ოდირის და სხვ.) რჩევას, ნუ გავზრდით რისკებს ჩვენი ქვეყნისთვის, რომელიც დღეს ისედაც დიდი გამოწვევების წინაშე დგას. ამიტომ, მინდა მივმართო ოპოზიციის თითოეულ წარმომადგენელს – ჩვენ უნდა მოვახერხოთ საერთო ენის გამონახვა, შევიდეთ პარლამენტში და პარლამენტის ტრიბუნიდან ვუპასუხოთ ჩვენი ქვეყნის საერთო გამოწვევებს, რადგან ამ ქვეყნის მომავალი ყველამ ერთად უნდა ვაშენოთ, – აღნიშნულია კალაძის განცხადებაში.

გახარია: „150.000 კომპანია შეძლებს დღგ-ის მომენტალურად დაბრუნებას“

– დაახლოებით 150.000 კომპანიას შესაძლებლობა ექნება, ავტომატურად დაიბრუნოს დღგ ფაქტობრივად მომენტალურად.

ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ მთავრობის სხდომაზე განაცხადა. მან დამატებითი ღირებულების გადასახადის ავტომატური დაბრუნების რეფორმის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს რეფორმა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მიმდინარე ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე.

– კოვიდ 19-თან ბრძოლასთან ერთად გვაქვს უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანა – ეკონომიკურ კრიზისთან გამკლავება. ჩვენ პირველივე ტალღის დაწყებისთანავე დავიწყეთ ისეთ სერიოზულ რეფორმაზე მუშაობა, როგორიც არის დღგ-ის ავტომატური დაბრუნება, რომელიც ვერც ერთმა მთავრობამ ვერცერთ პერიოდში ვერ განახორციელა. დაახლოებით 150.000 კომპანიას შესაძლებლობა ექნება, ავტომატურად დაიბრუნოს დღგ ფაქტობრივად მომენტალურად, რაც ნიშნავს, რომ ყოველწლიურად დაახლოებით მილიარდი ლარი ყველანაირი პრობლემების გარეშე დაუბრუნდება ჩვენს ბიზნესს.

ეს უაღრესად მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელმაც მხარი უნდა დაუჭიროს ბიზნესის განვითარებას, ასევე სამუშაო ადგილების შენარჩუნებას და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დღევანდელი კრიზისის პირობებში, – განაცხადა გახარიამ.

თენგიზ ცერცვაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდა

თენგიზ ცერცვაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდა. ინფექციური საავადმყოფოს დირექტორი საავადმყოფოში მოათავსეს.

თენგიზ ცერცვაძე ჰოსპიტალიზებულია. ინფექციური პათოლოგიისა და შიდსის ცენტრის გენერალური დირექტორის თენგიზ ცერცვაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა დაავადების მეექვსე დღეს გაუარესდა. აღენიშნება ტემპერატურის მატება 38.0 გრადუსამდე.

გულ-მკერდის ორგანოების კომპიუტერულ-ტომოგრაფიული გამოკვლევით დაფიქსირდა ორმხრივი კოვიდ პნევმონია. იმუნური სისტემის გამოკვლევით აღენიშნება უჯრედული და ჰუმორული იმუნიტეტის მაჩვენებლების მნიშვნელოვანი გაუარესება.

ვინაიდან ბატონი თენგიზი წარმოადგენს ორმაგად მაღალი რისკის ჯგუფის პირს – იგი არის ასაკოვანი და ამავე დროს აქვს არაჰოჯკინის ლიმფომა და სერიოზული იმუნოდეფიციტური მდგომარეობა, ამიტომ მისი ჰოსპიტალიზაცია მოხდა. მას გადაესხა ანტივირუსული მედიკამენტი „რემდესივირი“ ორი 100– მილიგრამიანი ფლაკონი ერთჯერადად. ის მკურნალობას მომავალ დღეებში გააგრძელებს კლინიკაში და მისი მკურნალობის ტაქტიკა განისაზღვრება კლინიკური და ლაბორატორიული მაჩვენებლების მდგომარეობის მიხედვით.

რაც შეეხება თენგიზ ცერცვაძის მეუღლეს, ანა თოფურიას ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მკურნალობას აგრძელებს სახლში.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გიორგი გუგავა: „ივანიშვილს სასამართლო ჯიბეში ცხვირსახოცივით უდევს“

„ივანიშვილმა ქვეყანა საკონცენტრაციო ბანაკად აქცია და სახეზეა ერის სოციალური გენოციდი“

იაგო ნაცვლიშვილი

„ლეიბორისტული პარტიის“ ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილის ხალხისთვის გაკეთებული პირველი „საჩუქარი“ ელექტროენერგიის ტარიფის მომატება იქნება და სემეკში უკვე განიხილავენ ამ საკითხს. აღნიშნული განცხადება პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გუგავამ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გააკეთა, რომელშიც ის ქვეყანაში შექმნილ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოზე საუბრობს.

გიორგი გუგავა:

– სემეკში უკვე შეიტანეს განაცხადები კომპანიებმა და ითხოვენ დენის ტარიფის გაზრდას. დახურულია ეს ინფორმაცია, მაგრამ გასაგებია, რასაც დაასახელებენ მოტივად. ეს გახლავთ ლარის კურსის ვარდნა. მოგეხსენებათ, რომ, სამწუხაროდ, ჩვენ დღემდე ვართ ელექტროენერგიის იმპორტიორები. ყოველ შემთხვევაში, ეს იქნება მოტივი.

– სემეკში გააკეთეს განცხადება და თქვეს, რომ ტარიფის გაზრდაზე კომპანიებს არ მოუმართავთ. იტყუებიან?

– როგორ არა, ამასთან დაკავშირებით განაცხადები გაკეთებულია და აპირებენ ამის განხილვას. ეს არის პირველი პოსტსაარჩევნო „საჩუქარი“ ივანიშვილის მხრიდან, რასაც ის უკეთებს საზოგადოებას. სხვათა შორის, ეს არის დამსახურება იმ მოქალაქეებისა, რომლებიც იდეურად, უიდეოდ, ფულის გამო, კარტოფილის გამო თუ სხვა რამის გამო არჩევნებზე მივიდნენ და ხმა მისცეს „ოცნებას“. ეს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებს, რადგან ელექტროენერგიის გაძვირება აისახება არ მხოლოდ ქვითრებზე გადასახადის სახით, არამედ სხვადასხვა პროდუქტზეც, მომსახურებაზე... ეს კიდევ უფრო გააძვირებს ცხოვრებას და გააღარიბებს ხალხს, კიდევ უფრო გაუსაძლისი გახდება იმ ადამიანების არსებობა, რომლებიც ყოველდღიურად სარჩოს ეძებენ. ეს უნდა ვუთხრათ იმ ხალხს, ვინც ამის ავტორია. ამის ავტორი ცესკო და ივანიშვილი კი არ იქნებიან, არამედ ის ხალხი, ვინც შიშით, ანგარებითა თუ სხვა მოტივებით მივიდა და მხარი დაუჭირა „ქართულ ოცნებას“.

– აპირებთ რაიმე აქტივობას იმ მხრივ, რომ ეს არ მოხდეს?

– როცა ივანიშვილს ხელთ უპყრია ყველა ინსტიტუცია და მიტაცებული აქვს სახელმწიფო ოლიგარქს სასამართლოს ჩათვლით, რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ეს დანაშაულებრივი გადაწყვეტილებები არ მივაღებინოთ, რომელიც თავს დაატყდებათ ჩვენს თანამოქალაქეებს?! ჩვენ გვჭირდება საზოგადოების მხარდაჭერა, რომ ასეთი მავნე გადაწყვეტილებები არ იყოს მიღებული. ეს ყველამ უნდა გააცნობიეროს.

– ოპოზიციას გაქვთ აქციები და ხომ არ აპირებთ, რომ სოციალურ-ეკონომიკური თემებიც გაიტანოთ?

– თავისთავად. თუ არ მოხდა ამ რეჟიმის დამარცხება და თუ ოლიგარქიული სისტემის შეცვლა სოციალური სამართლიანობის სისტემით არ მოხდა, მაშინ ეს პრობლემები ვერ გადაწყდება. ვერც ის, რამდენად სამართლიანად ადგენენ ტარიფებს, ვერც ის, რომ მონოპოლიური მდგომარეობაა საწვავისა თუ სხვა სფეროებში, რომლებიც ხელთ უპყრიათ ოლიგარქიულ კლანებს. ეს პოლიტიკური, სამართლებრივი და სოციალური საკითხები ვერ გადაწყდება, თუ არ შევცვალეთ სისტემა. ვიწრო აქციებით ეს არ გადაწყდება, იმიტომ, რომ უნდა არსებობდეს ბერკეტები. როდესაც მოქალაქის უფლებები ან მოქალაქეთა ჯგუფის ინტერესები ილახება, სამართალს უნდა ეძებდე სასამართლოში. ამ ქვეყანაში კი სასამართლო არ არსებობს.

როგორც ჯიბეში უდევთ ადამიანებს ცხვირსახოცი, დაახლოებით ასე უდევს ივანიშვილს სასამართლო ჯიბეში და, როცა დასჭირდება, მას გამოიყენებს ჰიგიენური დანიშნულებით და არა კანონის უზენაესობის პრინციპიდან გამომდინარე. ამიტომ, როდესაც მიტაცებული აქვს სახელმწიფო ოლიგარქს, უნდა გამოვტაცოთ და ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი იმ პრინციპების გატარება, რომლებიც დაიცავს თითოეულ მოქალაქეს ასეთი ყაჩაღობისგან.

– ხელისუფლებას მთლიანად ხომ არ გაექცა კონტროლიდან კოვიდსიტუაცია? ამბობენ, რომ დამატებითი შეზღუდვები იქნება ეკონომიკაში და მათ შორის საუბარია სამთო კურორტებზეც. ამ ყველაფერს როგორ გაუძლებს ქვეყანა?

– რა თქმა უნდა, ვერ გაუძლებს. ხელისუფლებას არათუ გაექცა კოვიდსიტუაცია კონტროლიდან, არამედ დანაშაულებრივი პოლიტიკა გაატარეს. უცხოური დახმარებები, რომელიც ჩვენ შთამომავლობას ვალად დააწვა, ეს ფული მიიტაცეს და არ გაატარეს შესაბამისი პოლიტიკა – არ მოემზადნენ კოვიდის მეორე ტალღისათვის. ელემენტარულად, ისიც კი ვერ გააკეთეს, რომ სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის პირბადეები და სადეზინფექციო საშუალებები მიეცათ. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ შესაბამისად უნდა აღეჭურვათ კლინიკები, მათ შორის სასუნთქი აპარატებით, რათა ამისთვის მზად ყოფილიყო ხალხი.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა სასიკვდილოდ გაწირეს ჩვენი თანამოქალაქეები და ფული მიიტაცეს, გადაქაჩეს ან ოფშორულ ანგარიშებზე, ან ბიზნესი დააკრედიტეს. შედეგად მივიღეთ შესაბამისი მდგომარეობა. როგორ წარმოგიდგენიათ ვითარება, როდესაც კვლავ ჩაკეტეს ქვეყანა და სრული ლოკდაუნის გამოცხადებას აპირებენ?!

– აპირებენ?

– რა თქმა უნდა, აპირებენ და სრულად ჩამოიქცევა მცირე და საშუალო ბიზნესი. ეს ყველაფერი მთლიანად ოლიგარქატის ხელში მოექცევა და ხალხს პირდაპირი გაგებით ელოდება შიმშილი და შიმშილით სიკვდილი. ეს პროცესები უკვე დაწყებულია და ამას გაცნობიერება სჭირდება. ადამიანებს არა მარტო არჩევანის უფლება წაართვეს, რომელიც არის ერთ-ერთი მთავარი უფლება, არამედ მოქალაქეებს სიცოცხლისა და არსებობის უფლებასაც ართმევენ. მეტი რაღა უნდა გააკეთონ?! მთელი ქვეყანა საკონცენტრაციო ბანაკად აქციეს.

ამ საშინელ რიცხვებს, რასაც ვუყურებთ, არავინ ყურადღებას აღარ აქცევს, თითქოს სტატისტიკად იქცა გარდაცვლილთა რაოდენობა. ამას გარდა, ვინ დათვლის იმას, რამდენი გარდაიცვალა შიმშილითა და სტრესით. წამლის ფული რომ არ აქვთ ადამიანებს და ამის გამო იხოცებიან, ამის სტატისტიკას აკეთებს ვინმე?! ეს არის გენოციდი, ერის გენოციდი. მეტი რა უნდა გააკეთონ?! პირდაპირ ავტომატებით ვერ გამოვლენ და ვერ გადაცხრილავენ ხალხს. სახეზე გვაქვს სოციალური გენოციდი, ხოლო პოლიტიკურად უფლებააყრილი საზოგადოება გვყავს, რადგანაც არჩევანის უფლებაც კი წაართვა მოქალაქეებს ივანიშვილმა. მან ჩათვალა, რომ ის არის მეფე და ის გადავწყვეტს ჩვენ მაგივრად ამ ქვეყნის ბედს. ეს არის რეალობა. არჩევანი ასეთი გვაქვს, რომ ან გამოვეხსნებით გველეშაპს, ან დავრჩებით მისი მონობის ქვეშ.

– ივანიშვილი გასაგებია და კიდევ ვინ არიან ის პირები, რომლებიც იღებენ ისეთ მძიმე გადაწყვეტილებებს, რაზეც ახლა საუბრობთ?

– მონების ხროვა, რომელიც ივანიშვილს ჰყავს. მონების ხროვა არის მთავრობაშიც, პარლამენტშიც, საარჩევნო კომისიებშიც და სასამართლოებშიც. ყველგან მონები ჰყავს.

– ბიძინამ მონათმფლობელობა დააბრუნა?

– რა თქმა უნდა, მონათმფლობელია. როგორც ღორებს დაუდგამენ გეჯას და დაუყრიან საჭმელს, დაახლოებით ასეთი მდგომარეობაა. ბოდიში ოთხფეხა ცხოველთან, ამათ რომ ვადარებ. მზად არიან, გაწირონ ადამიანები და გაწირონ ჩვენი შვილები. აი, ასეთი მონები მართავენ დღეს ქვეყანას.

– ოპოზიციას გქონდათ შეხვედრა და რა გადაწყვიტეთ, რა აქტივობა გექნებათ 21 ნოემბრის აქციაზე და იქნება თუ არა „სირცხვილის დერეფნები“?

– არა, მე ვფიქრობ, „სირცხვილის დერეფნები“ საჭირო არ არის. თავად სირცხვილია, როდესაც ერთპარტიული მმართველობაა, როგორც საბჭოთა კავშირის დროს იყო, როდესაც დელეგატები მიდიოდნენ არჩევნებზე და ერთპარტიულ არჩევნებზე ირჩევდნენ. დღევანდელი საქართველოს მდგომარეობა 21-ე საუკუნეში სირცხვილია. ამაზე მეტი სირცხვილი რა უნდა იყოს, როდესაც ამ პროცესში მონაწილეობს! მეტი დამცირება, მეტი უუფლებობა და მონობა რაღა გინდა?! ამიტომ „სირცხვილის დერეფნები“ საჭირო არ არის.

იქნება სხვა ღონისძიებები და გამოცხადდება, რა ფორმით იქნება ეს. ვინც ამ პროცესში, ე.წ. მეორე ტურებში მიიღებს მონაწილეობას, სამარცხვინო იქნება. ეს არის ბერბიჭაშვილობა და ორჯონიკიძეობა. თუ ისინი იარაღით აკეთებდნენ ამას, ესენი საკუთარი ნებით ართმევენ ამ ქვეყანას თავისუფლებას, დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს.

„პომპეოს გზავნილები ხელისუფლებისათვის გასაგები უნდა იყოს“

სალომე სამადაშვილი: „უკონკურენტო რეჟიმში ჩატარებული მეორე ტურები ნიშნავს, რომ ამ არჩევნების შედეგები არ არსებობს“

ნათია ხურცილავა

ნაციონალური მოძრაობის წევრი სალომე სამადაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ქალბატონო სალომე, საქართველოს ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში დავით ბაქრაძემ განაცხადა, რომ პომპეოს მოადგილე ფილიპ რიკერის დარჩენა და ოპოზიციასთან შეხვედრა განსაზღვრული იყო. თქვენ გაქვთ ასეთი ინფორმაცია?

– მე ზუსტად არ ვიცი, რამდენად რეალურია ეს ინფორმაცია, შეესაბამება თუ სინამდვილეს, თუმცა, ფაქტი ერთია, ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ შეხვედრა გამართა ოპოზიციის წარმომადგენლებთან და საუბარი შეეხო პოლიტიკურ კრიზისს, იმ საკითხებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანას აწუხებს.

– სახელმწიფო მდივნის ვიზიტს თქვენ როგორ შეაფასებთ? მას სხვადასხვა გამოხმაურება მოჰყვა.

– ვფიქრობ, რომ ის გზავნილები, რომლებიც ჰქონდა ამერიკის სახელმწიფო მდივანს, საკმაოდ ნათელია. ხელისუფლებას თუ სურს, ეს გზავნილები დაინახოს, დაინახავს, მაგრამ, თუ არ სურს, რა თქმა უნდა, ვერ დაინახავს და წაუყრუებს. ყველაფერი ძალიან ნათლად და გარკვევით იყო ნათქვამი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების მხრიდან. ეს გზავნილები განკუთვნილია ყველა შესაბამისი მხარისთვის, რომლებიც ამ კრიზისში არიან.

თავიდან ითქვა, რომ ვიზიტი შეეხებოდა უფრო გლობალურ საკითხებს და არა, მაგალითად, ჩატარებულ არჩევნებს. ვნახეთ, რომ მათ შორის დიალოგი შეეხო პოლიტიკურ კრიზისსაც და შესაბამისი მოწოდებებიც გაკეთდა, რომ კრიზისი გადაიჭრას. ვნახოთ, რა განვითარება ექნება ამ საუბარს.

– რა მოლოდინი გაქვთ? გაითვალისწინებს ხელისუფლება პარტნიორების რჩევას?

– ეს გამოჩნდება მოლაპარაკებების შემდეგ რაუნდზე. თუ ხელისუფლებამ მოისმინა ეს გზავნილები, შესაბამისი ნაბიჯებიც უნდა გადადგას. ვნახეთ, რომ მოწოდება იყო, მხარეებს შორის კონსენსუსის საფუძველზე მოიძებნოს გამოსავალი. თუ მართლაც არსებობს „ქართული ოცნების“ მხრიდან კონსენსუსის მიღწევის სურვილი, ამას ვნახავთ. ეს აუცილებლად გამოჩნდება მოლაპარაკების მაგიდასთან.

– თქვენ კი ამბობთ, რომ ახლა ბურთი ხელისუფლების მოედანზეა, მაგრამ მამუკა მდინარაძე აცხადებს, რომ არ შეიძლება მოლაპარაკებების საგანი იყოს ხალხის არჩევანის გადახედვა. ის პირდაპირ ამბობს, რომ არავინ აპირებს ახალი არჩევნების დანიშვნას.

– თუ ასეა, მაშინ ვერ ვიპოვით გამოსავალს და ქვეყანა შევა უმძიმეს პოლიტიკურ კრიზისში გარდა იმისა, რომ წინ გვაქვს, როგორც ქვეყანას, ურთულესი ეპიდემიური გამოწვევები და, რაც მთავარია, უმძიმესი ვითარება გვაქვს ჯანდაცვის სისტემაში, რომელიც ყოველდღიურად არის ურთულესი გამოწვევების წინაშე. ამას დაემატება გარდაუვალი ეკონომიკური კრიზისი. გამოდის, ამ ყველაფერზე „ქართული ოცნება“ სრულად იღებს პასუხისმგებლობას.

– როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება ვერ აცნობიერებს ჯანდაცვის სისტემისა და ეკონომიკურ კრიზისს, დამატებული პოლიტიკური კრიზისი ძალიან რთულ რეალობას შეუქმნის თავად ხელისუფლებას?

– ვერ გეტყვით. თუ მოლაპარაკებების შემდეგ რაუნდზე იმავე პოზიციებით აპირებენ მოსვლას, მაშინ, გამოდის, ვერ აცნობიერებენ და ძალიან მწარედ მოუწევთ ამ ყველაფრის გაცნობიერება. სამწუხარო ის არის, რომ ამ პროცესში ქვეყანა დაზიანდება. ქვეყნისთვის არ არის კარგი, თუ დიდხანს გაგრძელდება ეს პროცესი და კონსენსუსს ვერ მივაღწევთ. ეს დამანგრეველ შედეგებს მოუტანს როგორც სახელმწიფოს, ისე მის მოქალაქეებს, რაც ძალიან სამწუხაროა.

– არჩევნების მეორე ტურში ოპოზიცია მონაწილეობს. მიუხედავად ამისა, ფიქრობთ, ხელისუფლება მაინც მოძებნის ვინმეს ოპოზიციის რიგებში, ვინც ლეგიტიმაციას მისცემს არჩევნებს და პარლამენტში შევა?

– მე ვფიქრობ, რომ უკონკურენტო რეჟიმში ჩატარებული მეორე ტურები ასევე ნიშნავს, რომ ამ არჩევნების შედეგები დემოკრატიული ლეგიტიმაციის თვალსაზრისით არარსებულია. ამიტომ ხელისუფლებას მეორე ტურამდე უნდა ეფიქრა ამაზე და უნდა ეზრუნა, რომ რაიმე შედეგისთვის მიგვეღწია, რაც მისცემდა ოპოზიციას შესაძლებლობას, მეორე ტურებში მონაწილეობა მიეღო. ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მოწოდებაც ეს იყო, რომ მეორე ტურამდე მიგვეღწია შეთანხმებისთვის.

სოსო შატბერაშვილი: „ბარიერგადალახული პარტიები პარლამენტში უნდა შევიდნენ“

„დასანანია, რომ საქართველოს მთელი პოლიტიკური სპექტრი 1995 წლიდან სააკაშვილის ჭკუაზე დადის“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოში პოლიტიკური კრიზისი გრძელდება. ოპოზიცია 31 ოქტომბერს არჩეულ პარლამენტში შესვლას კვლავინდებურად არ სთანხმდება, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი კი მას პარლამენტში შესვლისკენ მოუწოდებს. შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „მემარცხენე ალიანსის“ ლიდერ სოსო შატბერაშვილს, რომელსაც პარლამენტის ბოიკოტირების გამოცდილება დაუგროვდა.

– აშშ-ის სახელმწიფო მდივნის საქართველოში ვიზიტის შედეგად გაირკვა, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ბარიერგადალახულ ოპოზიციურ პარტიებს პარლამენტში შესვლისკენ მოუწოდებს. შეიძლება ითქვას, რომ ოპოზიცია რთულ მდგომარეობაშია?

– რასაკვირველია, რთულ მდგომარეობაშია. ამგვარი სიტუაცია გამოვლილი მაქვს. სწორედ იმიტომ არის ნახსენები სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში „ნანახი ფილმი“. ასეთი კინო მართლაც ნანახი გვაქვს, მე კი მისი მონაწილე გახლავართ.

2008 წელს ჩვენ, მაშინდელი გაერთიანებული ოპოზიციის უმრავლესობა, არ შევედით იმდროინდელ საკანონმდებლო ორგანოში. ამით არც ჩვენ მოგვიგია და არც ქვეყანას. სააკაშვილი, რასაც უნდოდა, იმას აკეთებდა. მის მიერ დატრიალებული საშინელებიდან და უხეში შეცდომებიდან საკმარისია დავასახელო სამხედრო და პოლიტიკური მარცხი 2008 წლის ომში. სააკაშვილს რეალურად ოპოზიცია არ ჰყავდა და დგამდა ქვეყნისთვის დამაზიანებელ ნაბიჯებს. იმ დროსაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, ენდიაი და აირაი მოგვიწოდებდნენ ოპოზიციას, აგვეღო მანდატები და გვემუშავა პარლამენტში.

– რატომ არ ითვალისწინებდით ამ რეკომენდაციას?

– იმიტომ, რომ ვიყავით ჩვენი ნამოქმედარის მძევლები, არ გვინდოდა, ერთხელ ნათქვამი გადაგვეთქვა. ერთი წლის შემდეგ შალვა ნათელაშვილი გამოვიდა და თქვა, რომ პარლამენტის ბოიკოტი შეცდომა იყო.

– შალვა ნათელაშვილის ამ მოსაზრებას დაეთანხმეთ?

– მე მანამდეც იმ აზრზე ვიყავი, რომ პარლამენტში უნდა შევსულიყავით. ამაზე საჯაროდ არ ვსაუბრობდი, ოპოზიციის შეხვედრაზე კი დამიყენებია ეს საკითხი, მით უმეტეს, რომ სრული ბოიკოტირება არ გამოვიდა – ქრისტიან-დემოკრატები გიორგი თარგამაძის თავმჯდომარეობით, ასევე გია თორთლაძე, ჯონდი ბაღათურია, დიმიტრი ლორთქიფანიძე პარლამენტში შევიდნენ. სიმართლე გითხრათ, ამაზრზენად ვგრძნობდი თავს – არ დავდიოდით სხდომებზე, ვერაფერს ვაკეთებდით სააკაშვილის დასაოკებლად, დეპუტატის ხელფასს კი ვიღებდით. ჩვენ ავყევით მაშინდელ ოპოზიციონერებს – ლევან გაჩეჩილაძესა და დავით გამყრელიძეს. რეალურად, გამოვიდა, რომ ხელი შევუწყვეთ სააკაშვილს და წინ ვერ აღვუდექით მის აღვირახსნილობას. მაშინ სააკაშვილი და მისი ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში იყვნენ, დღეს პირიქითაა. ნაციონალური მოძრაობა არის ოპოზიციაში და მის ფეხის ხმასაა აყოლილი ყველა დანარჩენი. ნებსით თუ უნებლიეთ ასე გამოდის. ისტორია პარადოქსებით მეორდება.

– სააკაშვილის თქმით, ეს არის ჩვენი ქვეყანა და ვერავინ გვაიძულებს და მიგვაღებინებს იმას, რაც ჩვენი თავისუფლების მთავარ პრინციპებს ეწინააღმდეგება. ეს რადიკალიზმისკენ მოწოდებაა?

– ეს რევოლუციური მოწოდებაა. საბჭოთა წარსულში არსებობდა ტერმინი „პროფესიონალი რევოლუციონერი“. ასეთებად მოიხსენიებდნენ ლენინს, სტალინს, ცხაკაიას, ორჯონიკიძესა და სხვებს. სააკაშვილიც ამ პლეადიდანაა. ის არის თანამედროვე რევოლუციონერი, ბოლშევიკი და გადამტრიალებელი. რევოლუციონერობის ნიჭი ამ კაცს ნამდვილად აქვს. ამას ვერ დავუკარგავთ. დასანანია, რომ საქართველოს მთელი პოლიტიკური სპექტრი, შევარდნაძით დაწყებული, პარტიებით დამთავრებული, 1995 წლიდან სააკაშვილის ჭკუაზე დადის.

– მაგალითებსაც დაასახელებთ?

– 2002 წელს თბილისის საკრებულოში მან მოისყიდა ნათელაშვილი და ხელში ჩაიგდო ქალაქის თვითმმართველობა. 2003 წელს სააკაშვილმა დაამხო შევარდნაძე.

– არსებობს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 2003 წლის გადატრიალება რუსეთის სპეცსამსახურებში დაიწერა, დასავლეთი კი რუსეთს არ შეეწინააღმდეგა.

– მე არც მითქვამს, რომ ეს სააკაშვილის სცენარით მოხდა. სააკაშვილი იყო შემსრულებელი. მან რევოლუციონერის მისია პროფესიონალურად შეასრულა. სააკაშვილი რუსეთთანაც გარიგდა, ასევე – ბუშთან და სოროსთანაც. მაქვს დადასტურებული ინფორმაცია იმაზე, რომ სააკაშვილმა რუსეთის წინაშეც აიღო ვალდებულებები და აშშ-ის წინაშეც, რუსეთს შეჰპირდა, რომ საქართველოს ნატოში არ შეიყვანდა, ამერიკას კი საქართველოს ნატოში გაწევრიანება აღუთქვა. ის ორმაგ თამაშს ეწეოდა, საბოლოოდ, ქვეყანას გზა გაუხსნა ნატოსკენ. 2008 წელს კონდოლიზა რაისი და სხვა მოღვაწეები მიმართავდნენ სააკაშვილს, არ ჩაბმულიყო სამხედრო ავანტიურაში, აფრთხილებდნენ, რომ ამერიკა რუსეთს ომს ვერ დაუწყებდა. სააკაშვილმა ეს არ შეისმინა. სომხეთშიც გარედან ჩარევით მოხდა ხელისუფლების შეცვლა. სოროსის მონაწილეობითა და დახმარებით მოიყვანეს ფაშინიანი, რომელიც ახლა ძალიან ცუდ დღეში აღმოჩნდა.

– პირვანდელ საკითხს დავუბრუნდეთ. არსებობს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შეთანხმების შანსი? მოლაპარაკებები მათ შორის უცხოელი პარტნიორების ეგიდით კიდევ უნდა გაიმართოს. ექსპერტი ნიკა ჩიტაძე გამოსავალს იმაში ხედავს, რომ ოპოზიცია პარლამენტში შევიდეს ერთი პირობით – პროპორციული არჩევნები უნდა გაიმართოს 2022 წელს, ვადაზე ორი წლით ადრე.

– თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა, ოპოზიციას სხვა გამოსავალი შევთავაზო. ბარიერი არ გადამილახავს და ამას ნეიტრალური პოზიციიდან ვაკეთებ. ვურჩევ, ოპოზიცია შევიდეს პარლამენტში, რიგგარეშე არჩევნები კი მომავალ წელს ადგილობრივთან ერთად გაიმართოს. ისეთი სიტუაციაა, ხელახალ არჩევნებზე, ჯობია, უარი თქვან. არჩევნების ჩატარება 72 მილიონი ლარი ჯდება. გამოიყენონ პარლამენტის ტრიბუნა, 2021 წელს კი მოითხოვონ ადგილობრივთან ერთად ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ეს იქნება გამოსავალი.

გიორგი ცაგარეიშვილი: „ოპოზიციამ დესტრუქციული ქმედებები უნდა შეწყვიტოს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი გიორგი ცაგარეიშვილი პასუხობს.

– ბატონო გიორგი, როგორ აფასებთ ამერიკის სახელმწიფო მდივნის მაიკლ პომპეოს ვიზიტს საქართველოში?

– ამერიკის სახელმწიფო მდივნის ვიზიტი საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია, მით უმეტეს ახლა, როდესაც რეგიონში ვითარება დაძაბულია, ჩვენს სამეზობლოში დამთავრდა ფართომასშტაბიანი, სისხლისმღვრელი ომი და რუსული გავლენა გაძლიერდა. ამ დროს ამერიკის სახელმწიფო მდივნის ვიზიტი ისტორიული მოვლენაა. ჯერჯერობით შედეგებზე საუბარი ნაადრევია.

– ჩამოსვლის დღეს პომპეომ ტვიტერზე დაწერა, რომ აღფრთოვანებულია საქართველოში ვიზიტით.

– ამის თქმის საფუძველს ამერიკის სახელმწიფო მდივანს აძლევს ორ ქვეყანას შორის 30-წლიანი მეგობრობა, დღევანდელი მთავრობის, ხელისუფლების კურსი ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის თაობაზე. ევროატლანტიკური სივრცისკენ სწრაფვა არ შეგვინელებია. ეს ვიზიტიც დადასტურებაა იმისა, რომ საქართველო შეერთებული შტატების უპირობოდ უმთავრესი პარტნიორია.

არჩევნებში ვინც უნდა გაიმარჯვოს, ყველა შემთხვევაში ასე დარჩება – ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობა გაგრძელდება, რომელიც უკანასკნელ პერიოდში უმაღლეს ნიშნულზეა ასული. ამას ყველა აღიარებს როგორც საქართველოში, ასევე – აშშ-ში. ვისაც ეს არ მოსწონს და ვინც ამას არ აღიარებს, კი იცით, ვინც არის. ჩვენ გვყავს ქვეყნის მიმართ მტრულად განწყობილი ოპოზიცია, შემიძლია, სამწუხაროდ, ასე ვთქვა.

– თვითონ პომპეო ოპოზიციას არ შეხვედრია, მაგრამ მათ აქცია გამართეს და ამით მიაწვდინეს ხმა.

– მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ მაიკლ პომპეო ოპოზიციას არ შეხვდა. ეს იმის აღიარებაა, რომ ამერიკა ცალსახად აღიარებს საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს, ჩატარებული არჩევნების დემოკრატიულობას. ოპოზიციას რომ არ შეხვდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ოპოზიცია პარლამენტში შესვლის გზას უნდა დაადგეს, შეწყვიტოს აბსოლუტურად გაუაზრებელი დესტრუქციული ქმედებები და „ქართულ ოცნებასა“ და სხვა ძალებთან ერთად (ვინც შევა პარლამენტში) თავისი სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებას, საქვეყნო საქმის კეთებას შეუდგეს და ნუ იქნება ქვეყნისადმი მტრულად განწყობილი.

– ქვეყნის მიმართ მტრულად განწყობილი ოპოზიცია რატომ არის?

– ასეთებად აქცია მიხეილ სააკაშვილმა ნაციონალური მოძრაობა ბოლო 8 წლის განმავლობაში. მუდმივი ობსტრუქცია, მუდმივი დაპირისპირება ხელისუფლებასთან, მუდმივი სიცრუის ტირაჟირება, ფეიკნიუსებზე აწყობილი ყოველდღიური პოლიტიკა – ეს ყველაფერი ნაცმოძრაობას აყალიბებს იმ ძალად, რომელსაც ქვეყნის განვითარება, საქართველოსა და რეგიონში მშვიდობა არ უნდა.

– ოპოზიციას დღეს მხოლოდ ნაცმოძრაობა ხომ არ წარმოადგენს?

– გული იმაზე მწყდება, რომ საკუთარი ქვეყნის მიმართ დესტრუქციასა და მტრულ დამოკიდებულებაში სააკაშვილმა და ნაცმოძრაობამ დანარჩენი ოპოზიციური პარტიებიც ჩაითრია. მათი ყოველდღიური პოლიტიკური დღის წესრიგი ისაზღვრება სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის მიერ, რომლებიც ყოველდღიურად გეგმავენ პროვოკაციებს, რათა ქვეყანაში მშვიდობამ არ დაისადგუროს, მე-10 მოწვევის პარლამენტმა და კონსტრუქციულმა ოპოზიციამ არ იმუშაოს.

დღეს საქართველოს უჭირს, რადგან ქვეყანაში პანდემია მძვინვარებს. უჭირს იმიტომ, რომ უახლოეს სამეზობლოში რამდენიმე დღის წინ დაუნდობელი სისხლისმღვრელი დაპირისპირება შეწყდა, რაც ჩვენი ოკუპანტი მეზობლის მეშვეობით მოხერხდა, რომელმაც თავისი სამხედრო წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში გაზარდა.

პანდემიისა და პოლიტიკური არასტაბილურობის გამო ჩვენი მდგომარეობა სავალალოა. ასეთ ვითარებაში ლეგიტიმური არჩევნების აღიარება რომ არ გინდა, რადგან არჩევნების გზით ხელისუფლებაში დაბრუნება არ შეგიძლია, ამას რაღა უნდა დავარქვა? ეს არის სწორედ მტრად მოკიდება საკუთარი სამშობლოსადმი და არა „ქართული ოცნების“, მისი რომელიმე ლიდერის ან საქართველოს მთავრობისადმი.

ამ მოლიპულ გზაზე, რომელზეც ნაცმოძრაობა და მთლიანად ოპოზიცია მიდის, წარმატებას ვერ მიაღწევენ, თუმცა ხვალინდელ დღეს არ დაგიდევენ, მხოლოდ დღევანდელ დღეზე ფიქრობენ, რათა როგორმე უგულებელყონ ის სტატუსკვო, რომელიც დადგა არჩევნების შემდეგ, რომ როგორმე არ შეიკრიბოს საქართველოს პარლამენტი, ქვეყანა ჩაიძიროს საოცარ ქაოსში, სამოქალაქო დაპირისპირებაში გადავვარდეთ და ხალხმა იმაზე იფიქროს, რომელი პარტია სად, რომელ ქუჩაზე დგას, სად რა მიტინგს ატარებს და როდის დამთავრდება ეს მიტინგი. არავინ ფიქრობს იმ ვითარებაზე, რომელიც ქვეყანაშია შექმნილი, განსაკუთრებით, პანდემიის გამო.

– პომპეოსთან შეხვედრის შემდეგ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პომპეო დაინტერესდა სასამართლო სისტემაში არსებული ვითარებით, საუბარი იყო კლანზე. ახალი პარლამენტის პირობებში „ოცნება“ თუ გეგმავს სასამართლოს მიმართულებით ახალ რეფორმებს?

– რეფორმის რამდენიმე ტალღა, რომლებიც განხორციელდა „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში, მათ შორის, სრულად იყო მხარდაჭერილი აშშ-ის ადმინისტრაციისა და აშშ-ის საელჩოს მიერ. წლების განმავლობაში რეფორმების მხარდამჭერი რამდენიმე განცხადება გაკეთდა. ჩატარებული რეფორმა რთული იყო. დარწმუნებული ვარ, მე-10 მოწვევის პარლამენტი სასამართლო რეფორმას გააგრძელებს.

– ალბათ, უფრო სასამართლო შემადგენლობის გაჯანსაღების თვალსაზრისით არის რეფორმა გასატარებელი, რადგან ე.წ. კლანზე საუბრობენ.

– ალბათ, რეფორმა გაგრძელდება, მათ შორის, სასამართლოს შემადგენლობასთან დაკავშირებითაც. თუ ამ რეფორმების პროცესში საჭირო იქნება სასამართლოების პერსონალური შემადგენლობის გადახალისება, ესეც მოხდება, რაც ისედაც ყოველდღიურად ხდება.

საქართველოს სასამართლოებში მონიტორინგის გაძლიერებას ალტერნატივა არ აქვს. ნებისმიერ მხარდაჭერას, გარედან ხელის გამოწვდენას ჩვენ მხოლოდ მივესალმებით, რაც რეფორმებს უდავოდ წაადგება, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს, როგორც ქვეყნის შიგნიდან, ისე ქვეყნის გარედან – პირველ რიგში ამერიკასა და ევროკავშირს ვგულისხმობ.

თუ რეფორმების განხორციელებაში ჩვენი ოპოზიციონერები ჩაერთვებიან, ეს იქნება საუკეთესო, თუ არადა, საქართველოს ხელისუფლება ამ გზაზე სიარულს მაინც გააგრძელებს, რაც მარტივი არ არის.

– რას გულისხმობთ?

– სასამართლოების რეფორმირების გზაზე სიარული მარტივი არ არის. ძალიან ბევრმა ქვეყანამ ამას ათეული წლები მოანდომა. შეგახსენებთ ევროკავშირის ორ ქვეყანას, სადაც ახლაც გრძელდება სასამართლო რეფორმა. ესენია უნგრეთი და პოლონეთი, სადაც ძალიან დიდი ვნებათაღელვაა ხოლმე რეფორმებთან დაკავშირებით. არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ეს პროცესი საქართველოშიც გაგრძელდეს.

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვართ ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყანა, მაგრამ მყარად ვდგავართ სასამართლოს (არა მხოლოდ) რეფორმირების გზაზე, რაც რთული პროცესია. დარწმუნებული ვარ, როგორც „ქართულ ოცნებას“, ისე ამჟამინდელ ხელისუფლებას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ რეფორმები უნდა გაგრძელდეს და წარმატებით დასრულდეს.

დანარჩენი პოლიტიკური ინსინუაციებია, რომლებიც მომდინარეობს ნაცმოძრაობისა და მიხეილ სააკაშვილისაგან. ეს ადამიანები ვერაფრით ეგუებიან, რომ დაკარგეს ტოტალური კონტროლი ყველაფერზე ამ ქვეყანაში, მათ შორის, სასამართლოებზე. კარგად გახსოვთ, რა იყო სასამართლოები 8-9 წლის წინ, როდესაც მათ თავიდან ბოლომდე ადეიშვილი აკონტროლებდა. ფაქტობრივად, ადეიშვილი იყო ჩასმული სასამართლოების საკონტროლებლად სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის მიერ. ის პერიოდი, როდესაც ისინი უხეშად ერეოდნენ სამართალწარმოებაში, ისტორიას ჩაბარდა, ვეღარასოდეს დაბრუნდება.

– ახლა ნაცები ამბობენ, რომ სასამართლოს დღევანდელი ხელისუფლება აკონტროლებს.

– ის ჭორები, თითქოს დღევანდელ ხელისუფლებას აქვს გავლენები მოსამართლეებზე, სასამართლო ხელისუფლებაზე, მოარულ ხმებად და ჭორებად რჩება. ვერც ერთი კონკრეტული მტკიცებულება ამ წლების განმავლობაში ნაცმოძრაობამ ვერ მოიტანა. ნაცმოძრაობა ფიქრობს, როგორც ისინი ექცეოდნენ სასამართლოს, „ქართული ოცნებაც“ ისე გააგრძელებდა მოქცევას. დღევანდელი მთავრობის ხელწერა ისე განსხვავდება ნაცმოძრაობის ხელისუფლების ხელწერისაგან, როგორც ცა და დედამიწა.

იუსტიციის საბჭომ 36 მოსამართლე დანიშნა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, კენჭისყრის წესით 36 მოსამართლე თანამდებობაზე განწესდა. უვადოდ დაინიშნა მოსამართლეთა ის ნაწილი, რომლებსაც სასამართლოში მუშაობის 3 წელზე მეტი ხნის გამოცდილება აქვს, ხოლო დანარჩენი სამწლიანი გამოსაცდელი ვადით განწესდა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა 18 ნოემბერს გაიმართა.

თანამდებობებზე შემდეგი მოსამართლეები დაინიშნნენ:

მესხიშვილი ქეთევან – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა;

ქათამაძე პაატა – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა;

დოლიძე ვერა – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა;

შერბაკოვი ნინო – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია;

ცაგარეიშვილი ლელა – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია;

ოტიაშვილი ბაია – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია;

ჩაგუნავა კობა – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია;

გოგოლაძე ირინა – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია;

ეპიტაშვილი თეონა – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია;

ესებუა ზვიად – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია;

სირბილაძე ცისანა – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია;

კოჭლამაზაშვილი არჩილ – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია;

მარშანია ნათია – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია;

ხუსკივაძე ირაკლი – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია;

კლდიაშვილი ლაშა – თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია;

უბილავა გიზო – თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია;

კოპალიანი კონსტანტინე – თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია;

ჯინჯოლია მიხეილ – თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია;

ბებიაშვილი მიხეილ – ქუთაისის საქალაქო

სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია;

თხელიძე ქეთევან – ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია;

ბარდაველიძე ლევან – ბოლნისის რაიონული სასამართლო;

გიორგაძე ნინო – ბოლნისის რაიონული სასამართლო;

ჩიქოვანი გვანცა – ბოლნისის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე მარნეულის მუნიციპალიტეტში;

გოგატიშვილი ნინო – გორის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია;

ბერეკაშვილი ქეთევან – გორის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია;

თაყაძე თეა – გორის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია;

კაკაურიძე შალვა – გორის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია;

ვარდანიძე გვანცა – ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე წალენჯიხის მუნიციპალიტეტში;

ვატიტაძე გრიგოლ – თელავის რაიონული სასამართლო;

ზათიაშვილი ვერიკო – თელავის რაიონული სასამართლო;

კობახიძე ნანა – მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია;

ფუხაშვილი მორის – მცხეთის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია;

ნადიო რეზო – მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე დუშეთის მუნიციპალიტეტში;

ბარამიძე ია – ოზურგეთის რაიონული სასამართლო;

შოშიაშვილი მაია – რუსთავის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე გარდაბნის მუნიციპალიტეტში;

გოგალაძე ირმა – ხაშურის რაიონული სასამართლო;

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინფორმაციით, საბჭომ მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი სააპელაციო და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ 99 ვაკანტურ თანამდებობაზე გამოაცხადა. კონკურსში 68 კონკურსანტი მონაწილეობდა, კენჭისყრის ეტაპზე 65 კანდიდატი გადავიდა.

„შუქი აანთეს და ბინა აფეთქდა“

რა მოხდა ლანჩხუთში

19 ნოემბერს ლანჩხუთში, გვარჯალაძის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ კორპუსში აფეთქება მოხდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განუცხადეს, შემთხვევის შედეგად 2 ადამიანი დაშავდა, რომლებიც სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს.

აფეთქება მე-2 სართულზე მოხდა. მცხოვრებლები ბინაში დაბრუნდნენ, შუქი აანთეს და აფეთქებაც მაშინ მოხდა.

მათივე ინფორმაციით, აფეთქება, სავარაუდოდ, ბუნებრივმა აირმა გამოიწვია.

აფეთქებას ნგრევა არ მოჰყოლია. ხანძრის ლიკვიდაცია დროულად მოხერხდა.

ლაგოდეხში სუძუკი ოპელს დაეჯახა

3 ადამიანი დაშავდა

ლაგოდეხში, სოფელ ბაისუბანში, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 3 ადამიანი დაშავდა.

ერთმანეთს საპირისპიროდ მოძრავი სუძუკისა და ოპელის მარკის ავტომობილები შეეჯახნენ.

წინასწარი ინფორმაციით, ავარიის მიზეზი უამინდობა გახდა, რის გამოც მანქანა მოცურდა და მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ პოლიცია და სასწრაფო დახმარების ჯგუფი.

ზუგდიდში ერთმანეთს 3 მანქანა დაეჯახა

19 ნოემბერს ზუგდიდში, ხუბულავას ქუჩაზე, ერთმანეთს სამი მსუბუქი ავტომობილი დაეჯახა. შედეგად, სამი ადამიანი მსუბუქად დაშავდა.

დაშავებულები ზუგდიდის რეფერალურ ჰოსპიტალში გადაიყვანეს. ექიმების ინფორმაციით, ორ მათგანს ზედაპირული დაზიანებები აღენიშნება. ერთ-ერთ პაციენტს კი ტვინის შერყევა აქვს.

მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

ბათუმში ზღვაში მამაკაცის ცხედარი იპოვეს

ბათუმში, პორტის მიმდებარედ, ზღვაში მამაკაცის ცხედარი იპოვეს. როგორც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში „ინტერპრესნიუსს“ განუცხადეს, ცხედარი მყვინთავებმა ამოიყვანეს.

„არანაირი სამძებრო სამუშაოები არ მიმდინარეობდა. ზღვაში ცხედარი შენიშნეს და ამოიყვანეს. მიმდინარეობს იდენტიფიცირება“, – აცხადებენ უწყებაში.

მომხდარის გამო შემთხვევის ადგილზე ყველა შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები არიან მობილიზებული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ბათუმში ნაციონალების ოფისის ფასადის დაზიანების ფაქტზე 1 პირი ამხილეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, პოლიციამ ბათუმში ნაციონალური მოძრაობის ოფისის შენობის ფასადის დაზიანების ფაქტზე ერთი პირი ამხილა.

უწყების ინფორმაციით, სხვისი ნივთის დაზიანების ან განადგურების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბათუმში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე, პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისის შენობის გარე ფასადის დაზიანების ფაქტზე 1972 წელს დაბადებული ბ.წ. ამხილა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბ.წ.-მ მიმდინარე წლის 15 ნოემბერს, ბათუმში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისის შენობას ქვა ესროლა და გარე ფასადის მინა დააზიანა. ჩატარებული სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ დაზიანებული მინის ღირებულება შეადგენს 145 ლარს. მხილებული პირი ჩადენილ ქმედებას აღიარებს.

სხვისი ნივთის დაზიანების ან განადგურების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

რუსთავში 2 წლის ბავშვი მე-7 სართულიდან გადავარდა

ბავშვი კლინიკაში გარდაიცვალა

19 ნოემბერს რუსთავში საცხოვრებელი კორპუსიდან 3 წლამდე ბავშვი გადავარდა. შემთხვევა მე-19 მიკრორაიონში მოხდა.

როგორც ადგილობრივებმა „ინფო რუსთავს“ განუცხადეს, მცირეწლოვანი მე-7 სართულის აივნიდან გადმოვარდა.

დაშავებული ბავშვი სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ საპატრულო პოლიცია, სასწრაფო-სამედიცინო დახმარებისა და სამაშველო სამსახურები.

როგორც ბავშვის მკურნალმა ექიმმა ჯონი სამხარაძემ „ინფო რუსთავს“ განუცხადა, მცირეწლოვან ბიჭს სისხლდენის შესაჩერებლად ქირურგიული ჩარევა დასჭირდა.

– ბავშვის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. ჩაუტარდა გულ-ფილტვის რეანიმაცია და სისხლდენის შესაჩერებლად გადაყვანილ იქნა საოპერაციოში. შემდგომში გადაყვანას ვგეგმავთ პროფილურ კლინიკაში, – აცხადებს ჯონი სამხარაძე.

მოგვიანებით ბავშვი კლინიკა „რუსთავში“ გარდაიცვალა.

ექიმების განცხადებით, მისი მდგომარეობა კრიტიკულად მძიმე იყო. მას ოპერაცია ჩაუტარდა, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

რუსთავში ავტომობილების გაქურდვის ბრალდებით ლ.მ. დააკავეს

სამართალდამცავებმა რუსთავში ქურდობის ბრალებით ერთი პირი დააკავეს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1983 წელს დაბადებული ლ.მ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 16 ნოემბერს, ქალაქ რუსთავში, სხვადასხვა ქუჩაზე, მოქალაქეების კუთვნილი 3 ავტომობილი გაქურდა, საიდანაც უკანონოდ დაეუფლა 2 აკუმულატორსა და მონიტორს. იმავე დღეს ლ.მ.-მ რუსთავში, ერთ-ერთი მოქალაქის ბინის აივნიდან ელექტროხელსაწყოები მოიპარა.

პოლიციამ ბრალდებული მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე დააკავა.

სამართალდამცველებმა ნაქურდალი ნივთები ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

დაკავებულმა მის მიერ რუსთავში მიმდინარე თვეში ჩადენილი კიდევ 3 ავტომობილის გაქურდვის ფაქტი აღიარა.

ქურდობის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს“, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწესთან ონლაინშეხვედრა გამართა

შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილე კახაბერ საბანაძემ ვიდეოკონფერენციის ფორმატით შეხვედრა გამართა ოპერაციების საკითხებში ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწე ჯონ მანზასთან.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციაში შემავალი საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შავი ზღვის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას და ნატოსთან თავსებადობის გაზრდის მნიშვნელობას.

კახაბერ საბანაძემ ნატოს გაერთიანებული საზღვაო ძალების სარდლობასთან (MARCOM) არსებულ წარმატებულ თანამშრომლობასა და შავი ზღვის რეგიონში საზღვაო სურათის აღქმის გაუმჯობესების მიმართულებით საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის (JMOC) როლზე ისაუბრა. შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ხაზი გაუსვა ოპერაციათა კონცეფციის შესაძლებლობების პროცესის მიმდინარეობის კუთხით მიღწეულ პროგრესს.

შეხვედრის დასასრულს, კახაბერ საბანაძემ ჯონ მანზას მადლობა გადაუხადა ალიანსის მიერ საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მტკიცე მხარდაჭერისთვის.

ონლაინშეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ლელა ჩიქოვანი და საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვახტანგ მახარობლიშვილი.

ისრაელი და ბაჰრეინი საელჩოების გახსნაზე შეთანხმდნენ

ისრაელი და ბაჰრეინი საელჩოების გახსნაზე შეთანხმდნენ. ქვეყნებმა გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც ბაჰრეინის საგარეო საქმეთა მინისტრი აბდულატიფ ბინ რაშიდ ალ-ზაიანი ისრაელში ჩავიდა და კოლეგა გაბი აშკენაზის შეხვდა.

ალ-ზაიანი ბაჰრეინის ხელისუფლების პირველი წარმომადგენელია, რომელიც ისრაელში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა. საელჩოების გახსნა მიმდინარე წლის დასრულებამდეა დაგეგმილი. ამასთან, ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ დეკემბერში ოფიციალური ვიზიტით ბაჰრეინში ჩავა.

ისრაელმა და ბაჰრეინმა დიპლომატიური ურთიერთობები 19 ოქტომბერს დაამყარეს, რაც აშშ-ის შუამავლობით გახდა შესაძლებელი. ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ ბაჰრეინთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას მშვიდობისკენ გადადგმული გიგანტური ნაბიჯი უწოდა.

2020 წელს ისრაელმა დიპლომატიური ურთიერთობები არაბთა გაერთიანებულ საამიროებთანაც დაამყარა.

ევროკავშირი ლუკაშენკოს რეჟიმს ახალ სანქციებს დაუწესებს



ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ, რომ დაიწყონ მზადება სანქციების ახალ რაუნდზე, რომელიც ბელარუსის ლიდერ ალექსანდრე ლუკაშენკოს რეჟიმის წინააღმდეგ იქნება მიმართული.

ამის შესახებ ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ჯოზეფ ბორელიმ ბრიუსელში გამართული სხდომის შემდეგ განაცხადა.

– ლუკაშენკოს რეჟიმის რეპრესიები ადამიანების წინააღმდეგ არ წყდება. ჩვენ სასანქციო სიაში უკვე შევიყვანეთ 50-ზე მეტი ადამიანი სანქციების ორი რაუნდის შედეგად და დღეს მოვილაპარაკეთ, დავიწყოთ მზადება სანქციების ახალი რაუნდისთვის, – განაცხადა ბორელიმ.

მისი თქმით, ამჯერად სანქციები შეეხება არა მხოლოდ ცალკეულ პირებს, არამედ ინსტიტუტებსა და კომპანიებს.

ბორელიმ დასძინა, რომ ლუკაშენკო არ მიდის საზოგადოებასთან კონსტრუქციულ დიალოგზე და ბელარუსში ვითარება ბოლო დროს მხოლოდ უარესდება.

აშშ-ის კონგრესმა ნავალნის მოწამვლის თაობაზე რეზოლუცია მიიღო

აშშ-ის კონგრესმა ნავალნის მოწამვლის თაობაზე რეზოლუცია მიიღო. ის მოუწოდებს მთავრობას, რუსეთის მიმართ დამატებითი სანქციები შემოიღოს. რეზოლუცია რეკომენდაციულ ხასიათს ატარებს.

ამას გარდა, კონგრესში რუსეთის დიდ შვიდეულში დაბრუნების საკითხიც განიხილეს. მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის თანახმადაც, რუსების დაბრუნება არ შეიძლება. პირადად ტრამპი რუსეთის დიდ შვიდეულში დაბრუნებას ემხრობა.

დადგენილებას მხარი დაუჭირეს როგორც რესპუბლიკელებმა, ისე დემოკრატებმა.

ყოფილი ამერიკელი სპეცრაზმელი რუსეთის აგენტი აღმოჩნდა

ყოფილმა ამერიკელმა სპეცრაზმელმა პიტერ დობინსმა რუსეთის დაზვერვასთან კავშირი აღიარა. ამის თაობაზე აშშ-ის იუსტიციის სამინისტრო იტყობინება.

დობინსი რუსეთის დაზვერვას 1995 წელს დაუკავშირდა, კონტაქტები კი 2000 წლამდე ჰქონდა. ის რუსებს აშშ-ის შეიარაღებული ძალების შესახებ კონფიდენციალურ ცნობებს გადასცემდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სპორტი

ჯანო ანანიძე: „მინდა, ფორმა თბილისის დინამოში აღვიდგინო“

საქართველოს ნაკრებს ბოლო მატჩებში კრეატიული ფეხბურთელი აკლდა, აი, ისეთი, ერთი პასით მთელი დაცვის მოჭრა ან ერთი მოქმედებით დაცვის ხაზის გაჭრა რომ შეუძლია. ბოლო პერიოდში მსგავსი ფეხბურთელი ჯანო ანანიძე იყო, რომელიც ტრავმებმა გააწამეს. თუმცა, როგორც თავად თქვა, იანვარში მზად იქნება და იმედია, ამის შემდეგ მაინც დაეხმარება ეროვნულ გუნდს.

– საქართველოს ნაკრებს მშვენიერი შანსი ჰქონდა, პირველად ეთამაშა ევროპის ჩემპიონატზე, მაგრამ მაკედონიასთან დამარცხდა. ჩვენი საუბარიც აქედან დავიწყოთ. როგორ გადაიტანეთ ეს მარცხი?

– ძალიან მძიმედ. ეს დიდი ტკივილი იყო. საათ-ნახევარი გვაშორებდა, რომ საქართველოს ნაკრების ეს თაობა ქართული ფეხბურთის ისტორიაში ჩაწერილიყო. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. არავინ იცის, ასეთი შანსი კიდევ როდის გვექნება. იმედია, ეს მალე მოხდება. ძალიან მინდოდა, რომ ეს ამოცანა გადაგვწყვიტა. იმედი მქონდა, რომ ევრო 2020-ის დაწყებამდე გამოვჯანმრთელდებოდი, ფორმას აღვიდგენდი და ამ დიდ საფეხბურთო ფორუმზე მეც ნაკრებთან ერთად ვიქნებოდი. ახლა ჩემთვის მთავარია, ზაფხულამდე ფორმა აღვიდგინო.

– სად და როგორ აპირებთ ფორმის აღდგენას, მოსკოვის სპარტაკში ხომ არა?

– სხვათა შორის, ამ რამდენიმე ხნის წინ გიორგი ჯიქიამ დამირეკა, ვისაუბრეთ. მკითხა, სპარტაკი 2-ში ხომ არ მსურდა თამაში. გამორიცხული არაფერია, მაგრამ მეეჭვება, ამას დავთანხმდე. საქართველოში ვარჯიშზე უარს არავინ მეტყვის, მაგრამ მარტო ვარჯიში არ მინდა, მსურს, ვითამაშო. ვარჯიში ერთია, მაგრამ ფეხბურთელისთვის მთავარი სათამაშო პრაქტიკაა.

– ვთქვათ, მართლა რომ შემოგთავაზოთ სპარტაკი 2-მა კონტრაქტის გაფორმება.

– ალბათ, არ დავთანხმდები. არა იმიტომ, რომ რუსეთის მე-2 ლიგაში თამაშს ვთაკილობ. უბრალოდ, მიმაჩნია, რომ არ იქნება მართალი სპარტაკში დავბრუნდე, ძველ მეგობრებს შევხვდე და მათთან ერთად არ ვივარჯიშო. რუსეთის მე-2 ლიგაში თამაშს საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, თბილისის დინამოში თამაში მირჩევნია. ვფიქრობ, საქართველოს ჩემპიონატში უკეთ აღვიდგენ ფორმას, ვიდრე სპარტაკი 2-ში.

– ესე იგი რუსეთში დაბრუნება პრიორიტეტული არ არის?

– მთავარია, სათამაშო პრაქტიკა მქონდეს და ფორმა სწრაფად აღვიდგინო. ვგეგმავ, იანვარში რომელიმე კლუბთან შეკრება გავიარო, ჯერჯერობით კონკრეტული წინადადება არავისგან მაქვს და, შესაბამისად, ჩემს მომავალზე ბევრს ვერაფერს გეტყვით.

– ახლა როგორ ატარებთ დროს?

– სტამბოლში სამკურნალოდ წასვლამდე მინიფეხბურთს ვთამაშობდი ქართული ფეხბურთის ვეტერანებთან – იაშვილთან, მუჯირთან, კობიაშვილთან ერთად. ამჟამად კი სარეაბილიტაციო კურსს გავდივარ. მინდა, მალე დავბრუნდე. კარიერის გაგრძელება ჯანმრთელობის მდგომარეობაზეა დამოკიდებული. რთულია, როდესაც 15 წლიდან ფეხბურთს თამაშობ და ახლა მხოლოდ ტელევიზიით გიწევს მისი ყურება.

– როდესაც ამბობენ, ჯანო ბროლის ფეხბურთელიაო, ღიზიანდებით ასეთ შეფასებაზე?

– ხშირად გამიგია ასეთი შეფასება, მაგრამ, ძირითადად, ისეთი ადამიანებისგან, რომლებსაც ფეხბურთი არასდროს უთამაშიათ. ხანდახან მგონია, მათ ჩემზე მეტად სურთ, რომ ფეხბურთი ვითამაშო და ტრავმები არ მივიღო. თანამედროვე ფეხბურთში ძალიან რთულია, ფეხბურთელმა კარიერა

გაგრძელება მე-7 გვერდზე

საზოგადოება

ხელვაჩაურის მეწყერს გადარჩენილ თიკა თედორაძეს სახლში ბიბლიოთეკა მოუწყვეს

ხელვაჩაურის საშინელ მეწყერს გადარჩენილ 12 წლის თიკა თედორაძეს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ სახლში ბიბლიოთეკა მოუწყო:

– ეს 12 წლის თიკა თედორაძეა, რომლის მთელი ოჯახი ხელვაჩაურის საშინელ მეწყერს შეეწირა. თიკა ახლა დეიდასთან ცხოვრობს სოფელ ისრითში და იქ აგრძელებს სწავლას. თიკა დეკემბრიდან გურული დღიურების ფონდის სტიპენდიას მიიღებს, მანამდე კი სოფელში ვესტუმრეთ და, ევროპული სკოლის თანადგომით, შესანიშნავი პირადი ბიბლიოთეკა მოვუწყვეთ.

ზუგდიდის დადიანების სასახლეების საგანძურზე ორენოვანი კატალოგი გამოიცა



ზუგდიდის დადიანების სასახლეების საგანძურზე ორენოვანი კატალოგი გამოიცა. 260-გვერდიანი ფერადი გამოცემა 200-ზე მეტ ფოტოსა და 100-ზე მეტი ჯვარ-ხატისა და სიწმინდის აღწერილობას აერთიანებს.

გამოცემის შესახებ ინფორმაცია ხელოვნების სასახლის დირექტორმა გიორგი კალანდიამ გაავრცელა:

– ეს იყო არაერთი თაობის ნატვრა. ეს ნატვრა დღეს რეალობაა. საქართველოს ხელოვნების სასახლის ეგიდით ზუგდიდის დადიანების სასახლეების საგანძურის შესახებ უნიკალური წიგნი გამოიცა, 260-გვერდიანი, ფერადი, მაღალპოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი ორენოვანი კატალოგი, რომლის ავტორია ამ საგანძურის შესანიშნავი მკვლევარი ლილი ბერაია.

წიგნი მომზადდა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით, დაიბეჭდა საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის თანადგომით. წიგნის რედაქტორია თქვენი მონა-მორჩილი.

კრებულში შევიდა 200-ზე მეტი ფოტო, 100-ზე მეტი ჯვარ-ხატისა და სიწმინდის აღწერილობა, 200-ზე მეტი წარწერა. კრებულს ერთვის პალეოგრაფიული ალბომი, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა აღწერილობა.

კატალოგის გამოცემისათვის განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, ზუგდიდის დადიანების სასახლეს, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტს, ხელოვნების სასახლეს.

წიგნის პრეზენტაცია მალე გაიმართება ზუგდიდსა და თბილისში!

მოძრაობის თეატრი 20 წლისაა

მოძრაობის თეატრი 20 წლის გახდა. კახა ბაკურაძის მიერ დაფუძნებულმა თეატრმა 20 წლის განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ დიდი შრომის, ენთუზიაზმის, სწორი მენეჯმენტის, იდეებისა და განუწყვეტელი სიახლეების ხარჯზე სახელმწიფოს დაფინანსების გარეშე შეძლო მაყურებლისთვის მუდმივად საინტერესო სარეპერტუარო თეატრად ქცევა.

პანდემიის პირობებშიც კი კახა და იოსებ ბაკურაძეები აღმოჩნდნენ ერთადერთი რეჟისორები, რომლებმაც ახალი სპექტაკლები დადგეს და მაყურებელს მონატრებული საპრემიერო ემოცია აჩუქეს.

20 წლის განმავლობაში, 13 წელი, თეატრს არ ჰქონდა სარეპეტიციო და სათამაშო სივრცე. რეპეტიციობდნენ და თამაშობდნენ ყველგან, სადაც ამის შესაძლებლობას ნახავდნენ და მაინც ყველგან დაჰყვებოდათ ერთგული მაყურებელი, სადაც არ უნდა წასულიყვნენ, რადგან მოძრაობის თეატრი მათ სჩუქნიდა იმას, რასაც სხვაგან ვერ ნახავდნენ.

2013 წელს მოძრაობის თეატრმა, საინტერესო და განსხვავებულ სპექტაკლებთან ერთად, მაყურებელს განსხვავებული თეატრის შენობაც აჩუქა, თვითმფრინავის ძველ ანგარში, რომელიც მუდმივად იწვევს როგორც ქართველი, ისე უცხოელი მაყურებლის აღფრთოვანებას. თეატრის შენობა არაერთხელ მოხვდა პოპულარულ უცხოურ ვებგვერდებსა და სოცქსელებში.

მრავალპროფილიანი ღონისძიებებით, ენობრივი ბარიერის გარეშე, მოძრაობის თეატრი ინტერნაციონალურ, მულტიკულტურულ თანამედროვე ხელოვნების ცენტრად იქცა. წლების განმავლობაში ის თანამედროვე ქართული ხელოვნებით დაინტერესებული ტურისტებისთვის თბილისის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი გახდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით. კეთდება მხოლოდ კბილის მოსახსნელი პროთეზები, გარანტიით. არის იტალიური, რუსული წარმოშობის. ტელ: 555-72-64-98.

მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

ჯანო ანანიძე: „მინდა, ფორმა თბილისის დინამოში აღვიდგინო“

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ტრავმის გარეშე დაასრულოს. უბრალოდ, ამ მხრივ ზოგს მეტად უმართლებს, ზოგს – ნაკლებად.

საქართველოს ნაკრებში ერთ-ერთი თამაშის შემდეგ, როდესაც ჯვარედინი იოგების ტრავმა მივიღე, ჩემთან კობიაშვილი, მუჯირი და საქართველოს ნაკრების წევრები მოვიდნენ მოსანახულებლად. მოგეხსენებათ, კობიაშვილმა მთელი კარიერა ბუნდესლიგაში გაატარა, იქ როგორი ხისტი ფეხბურთია, თავადაც იცით, ლევანს 300-ზე მეტი შეხვედრა აქვს ჩატარებული და როგორც თავად მითხრა, თითქმის არც ერთხელ სერიოზული ტრავმა არ მიუღია, რაც უდავოდ გამართლებაა.

– თქვენს პოზიციაზე სპარტაკმა 20 მილიონად გუს ტილი შეიძინა, მაგრამ შემდეგ იჯარით გაუშვა. მაშინ რომ დარჩენილიყავით, შესაძლოა, მეორე შანსი გქონოდათ. გიფიქრიათ ამაზე?

– გასაგებია, მაგრამ, რა უნდა მექნა, როდესაც კლუბის გენერალური დირექტორი ამბობს, რომ 20 მილიონად ფეხბურთელი შევიძინეთ და ის ყველა შემთხვევაში ძირითადში ითამაშებსო? გუს ტილი ძალიან კარგი ადამიანია. როდესაც მის შეძენაზე იყო ლაპარაკი, ამბობდნენ, გუნდში ახალი ალექსი მოდისო, მაგრამ პირველივე მატჩისას გამოჩნდა, რომ ვერასდროს გახდება მეორე ალექსი. ჩემთვის ალექსი ყველაზე ძლიერი შემტევია მათ შორის, ვისთან ერთადაც სპარტაკში მითამაშია.

– სპარტაკის იტალიელი მწვრთნელი მასიმო კარერა ამბობდა, რომ სპარტაკის პირლო უნდა გამხდარიყავით.

– თავიდან ამ პოზიციაზე ეროვნულ ნაკრებში კახა ცხადაძემ მათამაშა. 3 თამაში ჩავატარე და 3-ჯერ საუკეთესო გავხდი. საქართველოს ნაკრებში მოედნის ცენტრში გვერდით ჯაბა კანკავა მყავდა, რომელიც ირგვლივ ყველაფერს „ჭამდა“ და მე შავი სამუშაოსგან თავისუფალი ვიყავი. „სპარტაკში“ ჯაბასნაირი მოთამაშე არ იყო, გვყავდა მხოლოდ ზობნინი და ფერნანდო. საბოლოოდ კარერა მიხვდა, რომ მისი ჩანაფიქრი, გავმხდარიყავი სპარტაკის პირლო, ვერ განხორციელდებოდა. ყველამ იცის, რომ ართმევაზე თამაში ჩემი ძლიერი მხარე არ არის.

– ტედესკო სად ხედავდა თქვენს ადგილს შეტევის დროს და თუ გისაუბრიათ მასთან ამის შესახებ?

– თავიდან ტედესკოც საყრდენად აპირებდა ჩემს გამოყენებას, თუმცა გუნდში არ აღმოჩნდა ფეხბურთელი, რომელიც ჩემი შესაძლებლობების გამოვლენაში დამეხმარებოდა. ტედესკოსთან კარგი ურთიერთობა მქონდა, მოსვლისთანავე მითხრა, რომ მე ვიყავი ფეხბურთელი, რომელიც ყველაზე დიდი ხანი თამაშობდა სპარტაკში. ამ დროს გუნდმა კრალი და ტილი შეიძინა. კარგად მესმოდა, რომ ეს ფეხბურთელები სკამზე დასასმელად არ მოუყვანიათ, იჯარით სადმე წასვლაც არ მსურდა. საბოლოოდ, კლუბის გენერალურ დირექტორთან კონტრაქტის გაწყვეტაზე შევთანხმდით და ერთმანეთს ცივილიზებულად დავშორდით.

– ზენიტთან მატჩის დროს თანაგუნდელ მელგარეხოსთან ჩხუბი მოგივიდათ. რა მოხდა მაშინ?

– ემოციები ფეხბურთის ნაწილია. გეთანხმებით, რომ მელგარეხოსთან რაც შემემთხვა, არ იყო ლამაზი, მაგრამ შემდეგ გასახდელში ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით. საერთოდ, ყოველთვის ვცდილობდი და ვცდილობ, სკანდალებს თავი ავარიდო მოედანზეც და, მით უმეტეს, მის მიღმა.

– ჰენრიხ მხითარიანმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი მთავარი მოტივატორი მამამისი იყო.

– ზუსტად იმავეს თქმა მეც შემიძლია. დარწმუნებული ვარ, მამა ცოცხალი რომ ყოფილიყო, ჩემი კარიერა სხვაგვარად წარიმართებოდა, მან ჩემს კარიერაში უდიდესი როლი ითამაშა და, როდესაც გარდაიცვალა, ფაქტობრივად, მარტო

დავრჩი. მისი გარდაცვალების შემდეგ არ მყავდა გვერდით ადამიანი, რომელიც შენიშვნას მომცემდა, თუ საჭირო იქნებოდა, დამტუქსავდა.

მამას გარდაცვალება დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც სპარტაკთან გაუმჯობესებულ კონტრაქტს მოვაწერე ხელი. ამან ცოტა მომადუნა, გვერდით კი არ მყავდა არავინ, ვინც მიწაზე დაშვებაში დამეხმარებოდა და რჩევას მომცემდა. თუმცა მაინც არის პიროვნება ჩემს ცხოვრებაში, რომელიც ყველაზე მძიმე დროს გვერდში დამიდგა – თემურ ლეფსაია. ის ჩემი უფროსი მეგობარია, არასდროს ისე არ ვუყურებთ ერთმანეთს, როგორც ფეხბურთელი და აგენტი. თემური რომ არ ყოფილიყო, არ ვიცი, როგორ წარიმართებოდა ჩემი ცხოვრება.

– დროის უკან დაბრუნება რომ შეგეძლოთ, რას შეცვლიდით?

– პირველ რიგში, პირად მწვრთნელს ავიყვანდი, რომელიც ინდივიდუალური პროგრამით მომამზადებდა, სულ ჩემთან ერთად იქნებოდა და თამაშისა თუ ვარჯიშების შემდეგ აღდგენაში დამეხმარებოდა. ასევე დავიქირავებდი დიეტოლოგს კვების სწორი რეჟიმისთვის. ადრე ამას ყურადღებას არ ვაქცევდი, ახლა კი ვხვდები, რომ ეს დეტალები მნიშვნელოვანია. დამეთანხმებით, რომ ნიუანსები ბევრ რამეს წყვეტს.

– რას ფიქრობთ ხვიჩა კვარაცხელიაზე?

– ნამდვილად ტალანტია. მას ბევრი თვისება აქვს, რაც სხვებს აკლიათ – ის საკუთარი თავის მოტივატორია. ვიცნობ და ვიცი მისი შესაძლებლობების შესახებ. მთავარია, ტრავმების გარეშე ითამაშოს. ხვიჩამ ასე თუ გააგრძელა თამაში და ცოტა გაუმართლებს, დარწმუნებული ვარ, მალე რომელიმე ტოპჩემპიონატში გადავა. მინდა, წარმატება ვუსურვო მას.

– გიორგი ჯიქიამ, სოლომონ კვერკველიასგან განსხვავებით, რუსეთის ნაკრებში გადაწყვიტა თამაში, რატომ?

– ჯიქია მოსკოვში დაიბადა, იქვე სწავლობდა, მას რუსეთმა და მოსკოვმა ყველაფერი მისცა და, შესაბამისად, მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. მისი გაგება შეიძლება და, ვფიქრობ, არც ამტყუნებს არავინ. გასათვალისწინებელია რუსეთში ლეგიონერებზე დაწესებული ლიმიტიც, აქედან გამომდინარე, მგონია, რომ სწორად მოიქცა. რაც შეეხება კვერკველიას, სოლომონი საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში თამაშობდა. ამას გარდა, ჩვენ საქართველოში დავიბადეთ, ბავშვობა იქ გავატარეთ, იქ ვცხოვრობდით და არ იქნებოდა მართებული, არჩევანი რუსეთის ნაკრების სასარგებლოდ გაგვეკეთებინა.

ისევ გიორგი ჯიქიას საკითხს თუ დავუბრუნდებით, არის კიდევ ერთი ფაქტორი, რის გამოც მან რუსეთის ნაკრებში თამაშის გადაწყვეტილება მიიღო, რაზეც თავად გიორგიმ მითხრა. როდესაც პერმის ამკარში თამაშობდა, საქართველოდან არავინ ეხმიანებოდა და ყურადღებას არ აქცევდა. როგორც კი სპარტაკში გამოჩნდა, ამის შემდეგ ხშირად უკავშირდებოდნენ. ეს არ არის სწორი. ჩემი აზრით, როდესაც ქართული გვარის ფეხბურთელი სადმე გამოჩნდება, მას მაშინვე უნდა შეეხმიანო. ამიტომაც გიორგიმ გადაწყვიტა, ეთამაშა იქ, სადაც დაიბადა და გაიზარდა.

საქართველო-ესტონეთი 0:0

თბილისი. დინამო არენა

კარიც ვერ გავიჯახუნეთ

საქართველო: ლორია, კაკაბაძე, კაშია, ხოჭოლავა (გრიგალავა 46), ტაბიძე, კვეკვესკირი, კანკავა, ყაზაიშვილი, ლობჟანიძე (მიქელთაძე 86), დავითაშვილი (პაპუნაშვილი 66), კაჭარავა (ლობჟანიძე 78)

ესტონეთი: ჰეინი, კუუსკი, პიკი, ტამი, კრეიდა, სოომეტსი (მილერი 78), ზენიოვი (მარინი 78), ვასილიევი, საპინენი, სინიავსკი (ანიერი 86), ტენისტე (ლილანდერი 81)

საქართველოს ნაკრებმა წელი უსახური ფრეთი დაამთავრა და კარის გაჯახუნებაც ვერ მოახერხა. ესტონეთთან საშინაო მატჩის შემდეგ გაირკვა, რომ გუნდი ერთა ლიგის ც დივიზიონის ჯგუფში მე-3 ადგილზე გავიდა და მომდევნო სეზონსაც იქ გაატარებს.

„ჯვაროსნები“ ესტონელებთან სათამაშოდ 19-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელმა რამაზ სვანაძემ გაიყვანა, რომელიც ახალი მწვრთნელის დანიშვნამდე დროებით ასრულებს ამ ფუნქციას.

სვანაძეს რამე განსაკუთრებული ცვლილება არ გაუკეთებია – იმ ფეხბურთელებიდან, ვინც შეკრებაზე დახვდა გამოძახებული, მოედანზე ოპტიმალური შემადგენლობა გაიყვანა.

პირველ ტაიმში საქართველოს ნაკრები კი ფლობდა უპირატესობას, მაგრამ გუნდმა ერთი რეალური საგოლე მომენტიც ვერ შექმნა. არადა, ბურთის ფლობა 76.4% იყო.

მეორე ტაიმში თამაშის ხასიათი არ შეცვლილა, მხოლოდ ბოლოსკენ გაიხსნა თამაში, მაგრამ საგოლე მომენტები მაინც არ ჩანდა. ეს ეროვნული ნაკრების ბოლო მატჩი იყო 2020 წელს.

რამაზ სვანაძე:

– რა თქმა უნდა, კმაყოფილი არ ვარ. ერთია, სათამაშო სცენარიდან გამომდინარე, უპირატესობა ჩვენი იყო და რაც დაგვაკლდა, ეს იყო შეტევაში ხარისხი, განსაკუთრებით ბოლო ფაზაში. ძალიან რთული პერიოდი გამოვიარეთ წინა შედეგებიდან, მაგრამ წარსულში ყურება არაფერს გვარგებს. ერთი, რაც ვიცი – ამ გუნდს პერსპექტივა აქვს.

საერთოდ არ ვფიქრობდი ამ თამაშში იმაზე, დავრჩები თუ არა მომავალშიც ნაკრების მწვრთნელად. მთლიანად ამ მატჩზე ვიყავი კონცენტრირებული და ჩემი მთავარი მიზანი იყო გუნდის სტრესული ვითარებიდან გამოყვანა. სხვა არაფერზე მიფიქრია. იქ ვიქნები, სადაც ჩემს ქვეყანას და ქართულ ფეხბურთს დასჭირდება. რაც შეეხება იმას, მზად ვარ თუ არა ნაკრების მწვრთნელობისთვის, მზად რომ არ ვყოფილიყავი, მერწმუნეთ, აქ არ ვიქნებოდი.

ფეხბურთელთა იმ თაობას, რომელიც მოდის, აქვს განვითარების პერსპექტივა. ვერ გავიზიარებ პესიმიზმს. ეს ის ბიჭები არიან, რომლებიც ფინალამდე მოვიდნენ და ეს წაგება მათთვის იყო უდიდესი დარტყმა. პრობლემა გახდა ის, რომ ამ სტრესიდან ვერ გამოვედით და ეს მატჩები წაიღო ამ სტრესმა. თუმცა, ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ ქართულ ფეხბურთს პერსპექტივა არ აქვს.

რას შევცვლიდი გუნდში? აქცენტს გავაკეთებდი შემტევ ფეხბურთზე, ბურთის ფლობაზე, რადგან ვფიქრობ, რომ ბალანსის დაჭერის შემთხვევაში, შესაძლებელია კარგი ფეხბურთის თამაში, რადგან ვიმეორებ, მიმაჩნია, რომ ქართულ ფეხბურთს პერსპექტივა აქვს.

19-წლამდელთა ნაკრებში არის ბევრი ფეხბურთელი, რომლებსაც პროფესიონალიზმითა და ბევრი შრომით აქვთ პოტენციალი, რომ ეროვნულ ნაკრებში მოხვდნენ. კონკრეტულ გვარებს არ დავასახელებ, რადგან ამ ასაკში ავანსების გაცემა არ შეიძლება.

კარელ ვოოლაიდი (ესტონეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):

– საქართველოს ნაკრები კარგი გუნდია და დღეს ბურთს აკონტროლებდა. ამ კუთხით ბოლო დროს ძალიან განვითარდით. ჩვენც გვსურს უფრო მაღალ დონეზე თამაში, მაგრამ რესურსიდან გამომდინარე, კმაყოფილი ვართ შედეგით. განსაკუთრებით დაცვაში ვიბრძოლეთ და ვფიქრობ, რომ ჩვენთვის ეს შედეგი კარგი იყო. ბევრი შანსი გქონდათ, მაგრამ ვერ გაიტანეთ და კმაყოფილი ვარ. წარმატებები თქვენ და საკუთარი ფეხბურთელების გჯეროდეთ, ისინი ძალიან კარგები არიან.

7 დეკემბერს ციურიხში 2022 წელს ყატარში დაგეგმილი მუნდიალის ევროპის კონტინენტის საკვალიფიკაციო ტურნირის წილისყრა გაიმართება.

გუნდები კალათებში ფიფას რეიტინგის მიხედვით უნდა გადანაწილდნენ.

საქართველოს ნაკრები მე-4 კალათაშია.

ჯამში კალათები ასე გადანაწილდება:

1. ბელგია, საფრანგეთი, ინგლისი, პორტუგალია, ესპანეთი, იტალია, ხორვატია, დანია, გერმანია, ნიდერლანდები;
2. შვეიცარია, უელსი, პოლონეთი, ავსტრია, უკრაინა, სერბეთი, თურქეთი, სლოვაკეთი, რუმინეთი;
3. რუსეთი, უნგრეთი, ირლანდია, ჩეხეთი, ნორვეგია, ჩრდ. ირლანდია, ისლანდია, შოტლანდია, საბერძნეთი, ფინეთი;
4. ბოსნია, სლოვენია, მონტენეგრო, ჩრდ. მაკედონია, ალბანეთი, ბულგარეთი, ისრაელი, ბელარუსი, საქართველო, ლუქსემბურგი;
5. სომხეთი, კვიპროსი, ფარერები, აზერბაიჯანი, ესტონეთი, ყაზახეთი, კოსოვო, ლიტვა, ლატვია, ანდორა;
6. მალტა, მოლდოვა, ლიხტენშტაინი, გიბრალტარი, სან მარინო.

ფეხბურთი ბ



შვეულად: 1. მწყრის მართვე; 2. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 3. სახელმწიფო სკანდინავიაში; 4. ცირკის მასხარა; 6. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 8. აღმოსავლური ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 11. პროვინცია ბელგიაში; 15. უბანი ძველ თბილისში; 16. ქართული სუფრის ხელმძღვანელი; 17. სავაჭრო სპეკულაციებით გამდიდრებული ადამიანი; 19. ჩრდილო ირლანდიის ძველი სახელწოდება; 21. ქორ-შევარდენთა გამწვრთნელი; 22. პოლიტიკური პარტია ისრაელში.

თარაზულად: 5. მდინარე მექსიკასა და აშშ-ში; 7. ქართველი მოდელიერი ქალი; 8. მორის რაველის ცნობილი საორკესტრო ნაწარმოები; 10. ჭაობში ბინადარი სისხლისმწოველი ჭია; 12. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 13. დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა; 14. ქაღალდის ფულის შემსწავლელი დისციპლინა; 18. ერთ-ერთი პირველი კინოთეატრი თბილისში; 20. ღვინისა და დროსტარების ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 23. ანსამბლ „როლინგ-სტოუნზის“ ლიდერი; 24. ოჩიაურის ქანდაკება ბიჭვინთაში; 25. ბრიტანული ყველი; 26. თხუნელას მეორე სახელწოდება; 27. წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგოდ საბრძოლო სამხედრო გემი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ნიორაძე; 2. ხინკალი; 3. რისლინგი; 4. ჟუდეცი; 5. სუარესი; 8. მემფისი; 9. პარალიზი; 12. ნოკდაუნი; 13. ერლიფტი; 16. ჟოეკვარა; 17. კანკანი; 19. სმალტა; 20. ბაწარა.

თარაზულად: 6. ჰინდიკუში; 7. სულგუნი; 8. მულინე; 10. დამიანე; 11. გემი; 14. გორდონსი; 15. ოკულისტი; 18. კოზაკი; 21. მატიანე; 22. რანდი; 23. აუდიტი; 24. ზამინდარი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბეჟარი; 2. პიუზო; 3. სტადია; 4. კოპიჭი; 6. ბალასტი; 9. ბანკო; 11. ტალანტი; 15. ინტერპოლი; 16. სესილი; 17. პასკვილი; 19. იურმალა; 21. საყდრისი; 22. აბრაგი.

თარაზულად: 5. გენლაინი; 7. ასპინძა; 8. ოპტიკა; 10. შამგონა; 12. ჭიუხი; 13. იჯარა; 14. რეკვიზიტი; 18. სააბი; 20. ნევადა; 23. იბერია; 24. ყუმი; 25. ყულევი; 26. გალო; 27. ბროკერი.

ფეხბურთი

18 ნოემბერი

ფეხბურთი

უეფას ეროვნული ლიგა

ბოსნია-იტალია	0:2
პოლონეთი-ნიდერლანდები	1:2
ბელგია-დანია	4:2
ინგლისი-ისლანდია	4:0
ავსტრია-ნორვეგია	1:1
ჩრ.ირლანდია-რუმინეთი	1:1
ჩეხეთი-სლოვაკეთი	2:0
ისრაელი-შოტლანდია	1:0
უნგრეთი-თურქეთი	2:0
სერბეთი-რუსეთი	5:0
ირლანდია-ბულგარეთი	0:0
უელსი - ფინეთი	3:1
საბერძნეთი-სლოვენია	0:0
კოსოვო-მოლდოვა	1:0
ალბანეთი-ბელარუსი	3:2
ყაზახეთი-ლიეტუვა	1:2

ჩოგბურთი

შემაჯამებელი ტურნირი

ზვერევი-შვარცმანი	6:3,4:6,6:3
ჯოკოვიჩი-მედვედევი	3:6,3:6

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

დალი, პეტრე, შალვა, ნანა ბერაიები, რძალი ლიკა გაგნიძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ოჯახის უახლოესი მეგობრის გურამ გუნავას მეუღლე

ქალბატონი ნანული

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

20 ნოემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2919

ევრო — 3.9098

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3746

100 რუსული რუბლი — 4.3521

ამინდის პროგნოზი 20 ნოემბრისათვის



17 ნოემბრიდან ჩემი პირველი ვეფხისტყაოსანი

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

კაზემირო კორონავირუსისგან განიკურნა

მადრიდის რეალის ნახევარმცველი კაზემირო კორონავირუსისგან ბოლომდე განიკურნა და მალე ვარჯიშს განაახლებს.

კაზემირო ვირუსს 2 კვირის განმავლობაში ებრძოდა და, ბუნებრივია, მან რეალის რამდენიმე შეხვედრაც გამოტოვა. მისი არყოფნა გუნდს განსაკუთრებით ვალენსიასთან შეხვედრაში დაეტყო, როდესაც რეალი 1:4 დამარცხდა.

კაზემიროს გარეშე რეალს უჭირს მეტოქე გუნდის შეტევების შეჩერება და მისი დაბრუნება გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ცხადაძე: „მზად ვარ, საქართველოს ნაკრები ჩავიბარო“

კახა ცხადაძემ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა რომ მზად არის, საქართველოს ნაკრები ჩაიბაროს და მისი მთავარი მწვრთნელი გახდეს.

ცხადაძის თქმით, ის ამჟამად უფრო მეტად არის ამისთვის მზად, ვიდრე 5 წლის წინ:

– მაშინ გაცილებით ნაკლები გამოცდილება მქონდა, შესაბამისად, ბოლომდე ვერ ვაცნობიერებდი, რას ვაკეთებდი, მაგრამ ახლა ყველაფერი სხვაგვარად არის და მზად ვარ, ნაკრები ჩავიბარო. ეს ჩემთვის დიდი პატივი იქნება.

ჯორჯო კიელინი კარიერის დასრულებაზე დაფიქრდა

ტურინის იუვენტუსის ცენტრალურმა მცველმა ჯორჯო კიელინიმ კარიერის დასრულებაზე დაიწყო ფიქრი და წლევანდელი სეზონი, შესაძლოა, მისთვის უკანასკნელი აღმოჩნდეს. კიელინი ამჟამად 36 წლის არის და ბოლო პერიოდში ხშირად აწუხებს ტრავმები, რის გამოც არცთუ ხშირად გამოდის მოედანზე.

ასევე ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კიელინი იუვენტუსში თავისი მდგომარეობით უკმაყოფილოა და გუნდის შეცვლაზე ფიქრობს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

20 ნოემბრისათვის

ვერძი – კოლეგებთან და პარტნიორებთან გაუგებრობა თქვენს საქმიანობაზე ნეგატიურად აისახება. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. ახალი საქმის დაწყება რეკომენდებული არ არის. **კურო** – ერიდეთ საქმის გარჩევას საყვარელ ადამიანთან. სამსახურში ძალზე ყურადღებიანი და ფრთხილი უნდა იყოთ. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა. გიმართლებთ ბიზნესში, ვაჭრობაში. გელით მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. **კირჩხიბი** – იზრუნეთ კარიერულ წინსვლაზე. თქვენი მიზანდასახულობა და შრომისმოყვარეობა დაფასდება. **ლომი** – წინააღმდეგობრივი დღეა. შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. **ქალწული** – ყურადღებით იყავით, განსაკუთრებით – სამსახურში. წინდაუხედაობამ, შესაძლოა, დაგაზარალოთ. **სასწორი** – მეგობრები და ახლობლები ნებისმიერ სიტუაციაში დაგეხმარებიან. მიენდეთ მათ. **ღრიანკალი** – ნუ აჩქარდებით. სიტუაცია გულმოდგინედ გააანალიზეთ და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ. **შუბლდოსანი** – კომერციულ საქმიანობაში გიმართლებთ. ვარსკვლავების განლაგება ამაში გეხმარებათ. **თხის რქა** – თქვენს თავშეკავებასა და გონიერებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ერიდეთ ემოციების გამოხატვას. **მერწყული** – ენერგია გემატებათ. ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. ჩანაფიქრის განხორციელებას ადვილად მოახერხებთ. **თევზები** – ეცადეთ, საკუთარ გრძნობებში გაერკვეთ. თამამად გარისკეთ. ახალი საქმის დაწყებაში პლანეტები ხელს გიწყობენ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

სილამაზის სალონიდან დაბრუნებული ცოლი ქმარს ეუბნება:

– აბა, რომ არ მიცნობდე, რამდენ წელს მომცემდი?

– სახით ოც წელს, თმით – თვრამეტს, აი, ტანით კიდევ სულაც თექვსმეტს.

– ჰოდა, მაგ სიტყვებისთვის, მოდი, უნდა დაგაჯილდოო...

– დაიცა, ქალო, ჯერ არ დამიჯამებია...

●●●

ექიმი პაციენტს ეუბნება:

– აი, ეს არის წამალი, რომ კუჭი აღარ გეტკინოს, ხოლო ეს არის წამალი იმისთვის, რომ წამალმა, რომელიც კუჭისთვის არის, კუჭი არ გატკინოს.

●●●

მამა შვილს ეუბნება:

– შენ სერიოზული ურთიერთობებისთვის ძალიან ახალგაზრდა ხარ!

– კი მაგრამ, მამა, როდესაც რომეო და ჯულიეტა ერთმანეთს ხვდებოდნენ, 16 და 13 წლის იყვნენ.

– მათი რომანი სამ დღეს გაგრძელდა და ხუთი ადამიანის დაღუპვით დასრულდა.

●●●

გოგონა ბებიას უხსნის:

– ბებია, ეს ჯოხია. ამის დახმარებით სელფს ვიღებ.

– ფუ, რა სირცხვილია! დროა, გათხოვდე, შვილო, გათხოვდე!

მოსწავლე გოგონამ ორი წლის ნათესავი ალმოდებული მანქანიდან გამოიყვანა

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ მერსედში სკოლის მოსწავლე გოგონამ ორი წლის ნათესავი ალმოდებული მანქანიდან გამოიყვანა.

12 წლის ალინა ერნანდეზმა შენიშნა, რომ ცეცხლის ალში გახვეულ ავტომობილში მისი ორი წლის ნათესავი იმყოფებოდა. ის დაუყოვნებლივ შევარდა ავტოფარეხში, რომელშიც იმ დროს ალმოდებული მანქანა იდგა და ბავშვი გადმოიყვანა.

ბავშვს ცეცხლი ტანსაცმელზე ჰქონდა მოკიდებული. გოგონამ მას სასწრაფოდ დაასხა წყალი ისე, რომ მაშველების მისვლას არ დალოდებია.

ბავშვი მეორე ხარისხის დამწვრობით საავადმყოფოში გადაიყვანეს, სამედიცინო დახმარების შემდეგ კი სახლში გაუშვეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ირაკლი ჩარკვიანი 59 წლის გახდებოდა

მომღერალი, კომპოზიტორი და მწერალი ირაკლი ჩარკვიანი, მეფე, 59 წლის გახდებოდა.

იუბილარი ხელოვანი მეუღლემ ქეთათო პოპიაშვილმა გაიხსენა:

– 59 წლის გახდებოდი. ძალიან მიყვარს შენი დაბადების დღე. ყოველი დღე განსაკუთრებულია ჩემთვის. მიმძიმს ამ დღის უშენოდ აღნიშვნა და ყოველთვის ერთისა და იმავე დილემის წინაშე ვდგავარ – ჯერ საფლავზე გავიდე თუ მემორიალთან?! რადგან სადღაც სხვაგან, გარეთ წარმოუდგენელია შენი მოძებნა, რადგან ყოველთვის იყავი და ხარ იქ, სადაც ყველაზე მეტად მჭირდები და თუნდაც შენი ხმის ერთი გაგონება, ერთი ფრაზაც კი საკმარისია იმისთვის, რომ განუსაზღვრელი სითბო და სიყვარული გასცე, მანუგეშო, აბსურდულ ქაოსში რწმენა გამიმყარო და მომცე ძალა.

მეფე, გაგიმარჯოს!

„არტ ჰოლი“ აღარ არსებობს

ნაძალადევში რამდენიმე წლის წინ გახსნილი ხელოვნების ცენტრი „არტ ჰოლი“ აღარ არსებობს. შენობის გაყიდვასთან დაკავშირებული ინფორმაცია საზოგადოებაში დიდი ხანია ვრცელდება. ჟურნალისტმა ბესო ჩუბინიძემ გაავრცელა ინფორმაცია, რომ კულტურის ცენტრი აღარ არსებობს:

– მშვიდობით. „არტ-ჰოლის“ კულტურის ცენტრიდან ჰაიდა. კულტურის ცენტრი აღარ არსებობს.

ლაურა რეხვიაშვილი წამყვანი გახდა

მსახიობი ლაურა რეხვიაშვილი წამყვანი გახდა.

იგი ტელეკომპანია „ფორმულას“ ეთერში ახალ ტოკშოუს წაიყვანს.

„სუპერ ბებიები“ – ასე ჰქვია გადაცემას, რომელსაც ლაურა რეხვიაშვილთან ერთად ჯანა ჯავახიშვილი და რუსო თოდრაძე გაუძღვებიან.

– ყოველ შაბათ-კვირას, 14:30 საათზე, ჩვენ სალაპარაკო გვაქვს! – აცხადებენ სუპერბებიები და მაყურებელთან შესახვედრად ემზადებიან.

თემურ თათარაშვილი: „დავამთავრე დებილის როლის თამაში“

აცხადებს მომღერალი თემურ თათარაშვილი და საჯარო განცხადებას ავრცელებს:

– დავამთავრე დებილის როლის თამაში. თუ დამირეკეთ და არ გიპასუხეთ, ესე იგი ნიშნავს, რომ ვიცოდი ყოველთვის, რასაც ფიქრობდით ჩემზე და არ ვიმჩნევდი. აღარ მინდა მეტი თქვენთან ურთიერთობა.

მიშა ქირიამ ახალი ალბომი ლონდონში ჩაწერა



ოპერის მომღერალმა მიშა ქირიამ ახალი ალბომი ლონდონში ჩაწერა. ის გაყიდვაში მომავალი წლის იანვარში ჩაეშვება:

– მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ მივიღე ჩემი ახალი ალბომი, რომელიც 2021 წლის იანვარში ჩაეშვება გაყიდვაში. დონიცეტის ოპერა „ილ პარია“, რომელიც ბრიტანულმა კომპანია „ოპერა რარამ“ გამოსცა, ჩავწერე ლონდონში, ჩემს არაჩვეულებრივ კოლეგებთან ერთად, ბიბისი მაიდა ვაილ სტუდიოში.

თორნიკე ყიფიანი ევროვიზიის მეორე ნახევარფინალში იმღერებს

ქართველი მომღერალი თორნიკე ყიფიანი 2021 წლის ევროვიზიის მეორე ნახევარფინალში მიიღებს მონაწილეობას.

ევროპის მაუწყებელთა კავშირმა კენჭისყრა ჩაატარა და ევროვიზიის კონკურსში მონაწილეთა რიგითობა განსაზღვრა.

2021 წლის ევროვიზიას როტერდამი 18, 20 და 22 მაისს უმასპინძლებს. წლევანდელი ევროვიზია მსოფლიო პანდემიის გამო ჩაიშალა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ›



შვეულად: 1. საქართველოს ეკონომიკის მინისტრი; 2. მაღალხარისხოვანი კერამიკული ნაწარმი; 3. დეტექტიური ჟანრის ფრანგი მწერალი; 4. სამეფო ტახტის მემკვიდრის ტიტული საფრანგეთში; 5. მონასტერი სტეფანწმინდის რაიონში; 8. მაღალი მორალური ადამიანური ღირებულება; 9. ქართველი მხედართმთავარი, მარშალი; 12. ქართველი კინორეჟისორი ქალი; 13. ბუნებრივი ნაკრძალი აფხაზეთში; 16. მცირე ამპლიტუდის რხევები; 17. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 19. ჩეხეთის ფეხბურთელთა გუნდი; 20. უბანი თბილისში.

თარაზულად: 6. უქნარა, უსაქმური ადამიანი; 7. ლომის, ვეფხვის ნაშიერი; 8. სანთლიდან ჩამონადენი წვეთი; 10. ჭაობის ნაპირებთან ბინადარი ბუ; 11. აფრიკული შხამიანი ბუზი; 14. ჩეჩენ-ინგუშთა საერთო სახელწოდება ძველად საქართველოში; 15. სულიერი დაძაბუნებით გამოწვეული ავადმყოფური მდგომარეობა; 8. საჭმელი სოკო; 21. ქართული ოდის აივანი; 22. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე; 23. უცხოური ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 24. თოკებით სამართავი თეატრალური თოჯინა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა